სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 5 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი უცდენ 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ფულის მომწერლებმა ფული [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 213 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 213

მეუღლე ატატო კოტატის ასული, შვილები დავითი ალექსანდრე და პორფილე ტაიას ძენი ჩაჩიბაიები, პარასკევა ტაიას ასული დგებუაძისა, ეფროსინე ტაიას ასული კობახიძისა, ვლადიმერ დგებუაძე და ლევან კობახიძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის მეუღლის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსესი მამის მეშვიდე და მერვესი სიმამრის

## ტაია დავითის ძე ჩაჩიბაიას

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა თავის სახლში. დაკრძალვა დანიშნულია 6 ოქტომბერს (ახალი სტილით) სოფ. გურძუბში (სენაკის მაზრა) ადგილობრივი ეკლესიის გალავანში. (3—3).

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ძმები: იოსებ, ნიკო და ივანე, დები: მატრონე, მართა და ეკატერინე, რძლები: მინადორა და ეფროსინე, სიძეები: ივლიანე სულუხია, ანტონ მუჯირი და სიმონ ესაკია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას 6 ოქტომბერს სოფელ დვაბზუში ადგილობრივ სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დღის 12 საათზე თფილისის საგანგებო რაზმის უფროს-პორუჩიკის

## სამსონ გრიგოლის ძე ღლონტის

სულის მოსახსენებლად, რომელიც დეკემბერში აჩმეზმახის მთაზე ასკერებთან შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა. (2—2)

---

კვირას, 6 ოქტომბერს დილის 10 საათზე ს. დვაბზუში ეკლესიის გალავანში გურიის სოც. დემ. კომიტეტის მიერ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი თფ. აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმის ყოფილი წევრის ამხანაგ

## სამსონ ღლონტის

ხსოვნის აღსანიშნავათ. კომიტეტის პრეზიდიუმი მოუწოდებს ამხანაგებს და საზოგადოებას დაესწრონ სამოქალაქო პანაშვიდს. (2—1)

---

ალექსანდრა ილიას ასული მაჩაბლისა შვილებით აუწყებს ამხანაგებს და ნათესავთ, რომ დაუვიწყარ ძვირფასს მეუღლის პირველისა, და მეორეთა მამის—ცხინვალში გმირულად დაღუპულის

## გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება კვირას 6 ოქტომბერს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე პანაშვიდი სასაფლაოზე. (2—1)

---

## ლატარია

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!
იყიდე ბილეთი
უხვ მომგებიანი,
იაფი: სულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!
იყავით ესთეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!
მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!
იჩქარეთ მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ მომგებიანი!

---

## ამიერ-კავკასიის ს. დ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო! საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა პარტიულ ყრილობის მოწვევა. ის სამ ნოემბერს უნდა გაიხსნეს.

ნახევარი წელიწადი გავიდა ჩვენი უკანასკნელი ყრილობის შემდეგ, მაგრამ თითქო მთელი საუკუნე გასული ყოს, იმდენად მდიდარი იყო ეს პერიოდი დიდი შემთხვევებითა და ცვლილებებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, მას შემდეგ გამოცხადდა დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია, დაირღვა უკანასკნელი და წარმოიშვენ რესპუბლიკები—საქართველოს, არარატისა და ადერბეიჯანის.

მძიმე როლი დააკისრა ისტორიამ ჩვენ პარტიას ამ დროს განმავლობაში, რთული და მეტად საპასუხისმგებლო კითხვების გადაჭრა მოგვიხდა.

ხაბედისწერო და განცდის დღეებში, როდესაც სწყდებოდა ბედი ჩვენი აწმყოსი და მომავლისა, მაშინ, ამხანაგებო, თქვენი ხელმძღვანელი ორგანოს გულის ყური თქვენსკენ იყო მოპყრობილი. . დავიწყეთ სახელმწიფოს აღშენებლობა, რომელთაც სათავეში დგომა გვარგუნა ბედმა... ჩვენ მუდამ აზრთა და მოქმედებათა ერთობით ვიყავით ძლიერნი—მით უფრო ამ დიად წამებში იყო ძვირფასი და საჭირო საერთო აზრი სწორედ ისე, როგორც საერთო თავგანწირულება. და არა ერთხელ დაბადებულა მხურვალე სურვილი ყრილობის მოწვევისა, მაგრამ მძვინვარე ანარქია არ გვაძლევდა ამის შეძლებას. ძალაუნებურათ გვიხდებოდა ბრძოლა და სვლა იმ მიმართულებითა და გზით, რომელსაც გვიკარნახებდა ალღო დემოკრატიისა.

დღეს, როდესაც ჩვენი ცის ტატნობზე ოდნავ მაინც გადაიწმინდა და საშუალება გვეძლევა შევიკრიბოთ, ერთი მეორეს მოვუსმინოთ, ჩვენ ვესწრაფვით აქეთკენ. ჩვენმა ყრილობამ მსჯავრი უნდა დასდვას ჩვენ წარსულ ნამუშევარს, დააფასოს აწმყო და გამოიმუშავოს გეგმა მომავლისა. მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვის გარკვევა და გადაწყვეტა მოგვიხდება ამ ყრილობაზე და საჭიროა წინასწარი მომზადება, რომ მისი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგეს.

მაშ ემზადეთ, ამხანაგებო, მომავალი ყრილობისათვის.

ყრილობისათვის შემუშავებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1) საოლქო კომიტეტის მოხსენება, 2) საკანტროლო კომისიის მოხსენება, 3) ეროვნულ საბჭოს ს. დ. ფრაქციის მოხსენება, 4) მთავრობის წევრთა მოხსენება, 5) დამფუძნებელი კრება და მისთვის კანდიდატების დასახელება, 6) აგრარული საკითხი, 7) მუშათა საკითხი, 8) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 9) ადგილობრივი თვითმართველობა, 10) პარტიული მუშაობა, 11) ინტერნაციონალი, 12) არჩევნები.

სასურველი და საჭიროა აღნიშნული კითხვები გახდეს ფართო მსჯელობის საგნათ ადგილობრივ პარტიულ ყრილობებზე მათ ყოველ მხრივ გასარკვევათ და დასამუშავებლათ.

ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარმოადგინონ წერილობითი წინადადება ამა თუ იმ კითხვის დღიურ წესრიგში შესატანათ არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა.

შენიშვნა: ყრილობაზე წარმომადგენლობა—ამიერ-კავკ. ს. დ. მ. ორგანიზაციების წესდების მე 12 მუხლით.

საოლქო კომიტეტი.

---

## გერმანიის მდგომარეობა

დეპეშათა სააგენტოს ცნობებით გერმანიის შინაური პოლიტიკური მდგომარეობა სერიოზულ კრიზისს განიცდის. სახელმწიფოს კანცლერი ჰერტლინგი სამსახურიდან გადაუყენებიათ და მისი მოადგილისათვის ახალი სამინისტროს შედგენა დაუვალებიათ.

იგივე სააგენტო იუწყება, რომ ახალ სამინისტროში მინისტრთა რამოდენიმე პორტფელი რეიხსტაგის სოციალდემოკრატიულ დამოკიდებულ ფრაქციის წევრებს შესთავაზეს და ამ სამინისტროში ისინი საპატიო ადგილებს დაიკავებენ. სოციალდემოკრატების გარდა შედიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც და სამინისტრო ხალხის წარმომადგენლებისაგან უნდა შესდგეს.

ჩვენ არ ვიცით რამდენათ მართალია ეს ცნობები, მხოლოდ ერთი რამ კი აშკარაა: გერმანიაში გაბატონებული სამხედრო პარტია, რომლის უტყუარი წარმომადგენელი სახელმწიფოს კანცლერი ფონ ჰერტლინგი იყო—დამარცხებულა და მისი ზედმეტათ გაღიზიანებული დაპყრობითი მადა შებოჭილა.

საგარეო საქმეთა მინისტრის კიულმანის გადაყენების შემდეგვე გამოირკვა ჰერტლინგისა და მისი პარტიის მდგომარეობაც.

რეიხსტაგის უმრავლესობამ არ მოიწონა კიულმანის საგარეო პოლიტიკა და იგი იძულებული გახდა სამსახურიდან გადამდგარიყო. კიულმანმა ვერ დააკმაყოფილა ვერც რეიხსტაგის უმრავლესობის სურვილი და ვერც მთავრობის, ანუ სწორეთ რომ ვთქვათ—სამხედრო პარტიის სურვილები. პირველი, ე. ი. რეიხსტაგის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო მთავრობის საგარეო დაპყრობითი პოლიტიკით და კიულმანს უნდობლობას უცხადებდა. თვით მთავრობაც თავისი მხრივ საგარეო საქმეთა მინისტრის მოქმედებას არ იზიარებდა, ვინაიდან უკანასკნელი სისწორით არ ატარებდა მთავრობის საგარეო პოლიტიკას და იგი მისი მედგარი დამცველი არ ყოფილა.

ასეთმა ორჭოფულმა მდგომარეობამ მინისტრ კიულმანს პორტფელი დააკარგვინა და იგი ორივე მხარემ გარიყა.

კიულმანის ადგილი დაიკავა ჰინცემ, რომელიც მთავრობის ანუ სამხედრო პარტიის და სახელმწიფოს კანცლერის პოლიტიკის სწორი გამომხატველი იყო. ეჭვს გარეშეა რეიხსტაგის უმრავლესობას ასეთი კომბინაცია ვერ დააკმაყოფილებდა და უკანასკნელები შინაურ პოლიტიკის შეცვლას მოითხოვდენ. კიულმანის წასვლას უნდა მოყოლოდა კანცლერის გადადგომა და მით შინაურ პოლიტიკაში ძირითადი გადატრიალებაც მომხდარიყო.

გერმანიის შინაური ძალთა განწყობილება მჭიდროთ შეკავშირებულია საგარეო პოლიტიკის წარმოებასთან. გამარჯვებულმა სამხედრო პარტიამ ფართო დაპყრობითი პოლიტიკა დაისახა და იგი ყველგან დროს და გარემოების მიხედვით ანხორციელებდა მას. ასეთმა მოვლენამ კი ომის გახანგრძლივება და სხვადასხვა ერების უკმაყოფილება დაჰბადა. გავიხსენოთ შეთანხმების სახელმწიფოების უკანასკნელი მედგარი შეტევა და უკრაინის ხალხის გერმანიის მთავრობით უკმაყოფილება.

ამას ზედ დაუმატოთ ბულგარეთიდან მოსული ცნობები და ჩვენ დავინახავთ, რომ გერმანიაში დაწყებული შინაური კრიზისი მოულოდნელი არ არის და იგი პოლიტიკური ძალთა განწყობილების შედეგი უნდა იყოს.

ოთხი წლის მსოფლიო ომი ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ ცვლილებას ახდენს. საერთო ძალთა განწყობილება დემოკრატიის სასარგებლოთ იცვლება და იმპერიალისტურ კლასებს თანდათან ნიადაგი ეცლებათ.

ამ გარემოებამ მკაცრი და აშკარა გამოხატულება მიიღო გერმანიაში. ხანგრძლივი ომის გამო და ეკონომიური კრიზისის მეოხებით საშუალო კლასი ანუ წვრილი ბურჟუაზია და გლეხკაცობა გაღატაკდა და იგი პროლეტარიატის ბანაკში გადავიდა. ის მდგომარეობა, რომელიც მათ მსოფლიო ომის დაწყებამდე ქონდათ, ძირიანათ შეერყათ. ახლა მათ თავიანთი ყურადღება პროლეტარიატის დამცველ პარტიას მიაპყრეს და აქ დაინახეს თავიანთი მოსარჩლეები.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო ჩვენ ვამბობთ, უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მუშათა პარტია, ერთად-ერთი ძალა, რომელიც მსოფლიო ომის მოსპობის გულწრფელი მომხრეა და დემოკრატიული ზავის ჩამოგდებას მხოლოდ ეს პარტია მოახერხებს და დააჩქარებს. ამიტომაც არის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძალა-მნიშვნელობა ამ ოთხი წლის განმავლობაში წარმოუდგენლათ გაიზარდა და იგი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობს. რეიხსტაგის სხვადასხვა პარტიები მის გავლენას ექვემდებარებიან. თვით ცენტრის პარტია, რომელიც დღევანდლამდის გერმანიის მთავრობის ბურჯათ ითვლებოდა—მსოფლიო ომის განმავლობაში რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატებს ხშირათ მხარს უჭერდა და მრავალ კითხვებს მასთან შეთანხმებით სწყვეტდა. სხვანაირათაც არ შეიძლებოდა. ცენტრის პარტიაში მრავალი წვრილი გლეხობა და მუშები შედიან და უკანასკნელები კი იმპერიალისტური ომის გამო წარმოუდგენელ გაჭირვებაში ჩაცვივდენ. თავისთავად საგულისხმოა ეს პარტია სავსებით ველარ გაიზიარებდა გერმანიის მთავრობის საგარეო და მასთან მჭიდროთ შეკავშირებულ საშინაო პოლიტიკას და რეიხსტაგის ოპოზიციას მიემხრობოდა.

ერთი სიტყვით, იმპერიალისტურ კლასებისა და მათი მთავრობის პოლიტიკა გერმანიის დემოკრატიის დიდი უმრავლესობისათვის აუტანელი გახდა და რაც დრო გადიოდა, უკანასკნელი მარცხნივ იხრებოდა ასეთ პირობებში საერთო ძალთა განწყობილება მემარცხენეების სასარგებლოთ უნდა შეცვლილიყო და შინაურ ცხოვრებაში ღირს-შესანიშნავი კრიზისი დატრიალებულიყო.

ისტორიისა დ ეკონ. ცხოვრების განვითარებას თავისი კანონები და ლოღიკა აქვს დ ამ კანონს ვერ წაუვა თვით გერმანიის მთავრობა და მისი სამხედრო პოლიტიკა. იქ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ხალხის წარმომადგენლებს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში გადამჭრელი უფლება უნდა მიეცეთ და გერმანიის სახელმწიფოს ხალხი ანუ დემოკრატია უნდა ჩაუდგეს სათავეში. უკანასკნელი გარემოება კი უტყუარი საბუთი იქნება იმის, რომ ისინი დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებას დააჩქარებენ და აწმყო მსოფლიო ომს ბოლოს მოუღებენ.

ახლა საერთო ძალთა განწყობილება ისეთია, რომ იარაღით არ გადასწყდება ომის ბედი. მისი ადგილი დემოკრატიულმა ზავმა უნდა დაიკავოს. გერმანიის სოციალ-დემოკრატია უკანასკნელი ზავის გულწრფელი მომხრეა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამინისტროში ჩადგომას მოჰყვება ხალხის უმრავლესობის დემოკრატიული ზავის წამოყენება და მას აუცილებლათ მხარს დაუჭერს შეთანხმების სახელმწიფოების დემოკრატია.

ამ ჟამად შეიქნა ისეთი ურთიერთობა, როცა გერმანიის დემოკრატიამ ისტორიული როლი უნდა ითამაშოს და მან შინ და გარეთ დემოკრატიული პოლიტიკა აწარმოოს და ამ გზით დალეწოს მსოფლიო იმპერიალისტების დაპყრობითი პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმპერიალისტები კაცობრიობის ეკონომიურ და საზოგადოებრივ კულტურას გაანადგურებენ და მით მთელ ქვეყანას წარმოუდგენელ მდგომარეობაში ჩააყენებენ.

გერმანიის იმპერიალისტებმა თავისი წიაღიდან წარმოშვა ისეთი ძალა, რომელიც ამ ომს ბოლოს მოუღებს და შინ და გარეთ მშვიდობიანობას დაამყარებს.

ეს არის გზა სწორი და უტყუარი და ამას ვერ ასცდება გერმანიისა და საზოგადოთ მთელი მეომარ სახელმწიფოების შინაური და საგარეო პოლიტიკა.

---

## პრესა

ბულგარეთის უკანასკნელი გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანი აქტია საქართველოსათვისაც. იგი აღმოსავლეთში დიდ ცვლილებების მოხდენას გვიქადის. ამის შესახებ „სახ. საქმე" სწერს:

„ის ზავი, რომელიც ბულგარეთს ჩამოუგდია, ერთი პარტიის ხელმძღვანელობით მომხდარა: მეფე ბულგარეთისა ამის წინააღმდეგი ყოფილა. ლაპარაკობენ ზავის კაბინეტის გადადგომას და ახალი მთავრობის შედგენას. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ უნგრეთის და გერმანელთა ჯარი უკვე მისულა ბულგარეთის ფრონტზე და ბრძოლა სწარმოებს.

ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია მდგომარეობის გართულება. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყვნეთ დამოუკიდებლობის დასაცავად. ჩვენმა ისტორიულმა მტერმა შეიძლება ისევ მოინდომოს საქართველოს დაპყრობა, რადგან ამიერ-კავკასიის სხვა ნაწილები ფაქტიურად მის ხელშია და ჩვენ ლა ვართ განმარტოვებულნი".

ამ რიგათ ბულგარეთის ამბებს შეიძლება მოყვეს საფრთხე ჩვენის დამოუკიდებლობისთვის. ეს აუცილებელი ჭეშმარიტებაა. მეზობლები ეჭვი არაა შეეცდებიან, თუ დრო იხელთეს, ჩვენს განადგურებას. აქედან გაზეთი სამართლიანად დაასკვნის:

„ამიტომ ჩვენი დღევანდელი საზრუნავი ისევ და ისევ იარაღი, ჯარის შექმნაა".

ესეც უდავოა. ჯარი—დღევანდელ პირობებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ ბ. არ. ჯაჯანაშვილს გაზეთის იმავე ნომერში მეტათ მწარე ფიქრები გამოუქვეყნებია ამ საგანზე. აი იგი სიტყვა სიტყვით:

„რეგულიარული ჯარის შექმნას კი ხელს უშლის არა იმდენად ობიექტიური პირობები, რამდენადაც თვით მთავრობის ყოყმანი და ორჭოფობა. ამ უკანასკნელ ხანებში გამართულმა კამათმა მოულოდნელად თავი წამოაყოფინა ერთ სულიერ განწყობილებას, რომელიც დღემდისაც არსებულა, მაგრამ ჩვენ კი არ გვცოდნია. ეს არის უნდობლობა რეგულიარულ ჯარისადმი. ეს ყოვლად მიუღებელი და ჩვენი მდგომარეობის ძირის გამომთხრელი სულიერი განწყობილებაა".

მიზეზი ამ უნდობლობის ბ. არ. ჯაჯანაშვილს მეტად მარტივად აქვს წარმოდგენილი. იგი სწერს:

„ჯარს ძალიან კარგად ესმის ბრძანება კანონისა და პასუხისმგებლობა კანონის წინაშე. მაგრამ მან არ იცის, რასა ნიშნავს პარტიული დირექტივები. აი სწორედ ჯარის ამნაირმა შუამდგომლობამ დააფრთხო ჩვენი საზოგადოების ის წრეები, რომელშიაც ფიქრობენ, რომ რაც პარტიული არ არის, არც სახელმწიფოებრივია, მაშასადამე, სახიფათო".

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ შეხედულებას არსად შევხვედრივართ. ეს არ. ჯაჯანაშვილის საკუთარი ფანტაზიაა. რეგულიარული ჯარის უნდობლობა სოციალისტურ წრეებში გამომდინარეობს იმ შეხედულებისაგან, რომელიც მოითხოვს სახალხო მილიციის შედგენას. მაგრამ ასეთი მოთხოვნა, ვგონებ, არჩ. ჯაჯანაშვილის პროგრამაშიც უნდა ეწეროს. მაშასადამე, იგიც აქეთკენ უნდა მიისწრაფოდეს. მაგრამ დღეს მუდმივი ჯარი საჭიროა, აუცილებელია და ვერავითარი პარტიული მოსაზრებები ამ მოთხოვნილებას უკან ვერ გადასწევს. მით უმეტეს ეს ითქმის ს.-დ—ია'ზე. ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა შედგეს ჯარი არა პარტიული, არამედ რესპუბლიკის ერთგული, რესპუბლიკის მცველი, მისთვის გულშემატკივარი. მასში არ უნდა იყოს ელემენტები არც ალექსეევშჩინის მომხრე, არც ბაგრატიონების მიმდევარი და შეთქმულობების თანამგრძნობი.

აი ესაა მინიმალური მოთხოვნილება ჩვენი და ვინც ამას ვერ აკმაყოფილებს, იგი ჯარისთვის ზედმეტი მავნებელია, აი ამას ამბობს უკანასკნელ დროს აღძრული კამათი.

* * *

„კავკ. სლოვო" დარბაისელი გაზეთის სახელის დაჩემებას ცდილობს. არსებითად იგი ხანდამავებს თანაუგრძნობს, მათ გულის ნადებს იზიარებს. მაგრამ ფელეტონისტ ლ. ყიფიანის გარეშე გაბედულათ ამას ვერ ამბობს. სამაგიეროთ ის ვითომდა სერიოზული კრიტიკის სამოსელში ხვევს თავის მისწრაფებებს. გაზეთი კრიტიკულათ იხილავს სპეკულიაციის წინააღმდეგ კანონს და შიგ შეცდომების აღმოჩენას ცდილობს. იურიდიული კამათი ამ ჟამათ მაინც საინტერესო არ არის. ჩვენც ამას არ გამოვუდგებით. გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ დასკვნა, რომელსაც დაადგა გაზეთი:

„ის რაც ახლა მიღებულია, მხოლოდ ქმნის საბაბს გაუგებრობისათვის და ნიადაგს უმზადებს თვითნებობას და შევიწროებას. ნამდვილი მტაცებლები მოახერხებენ განზე დარჩენას, მოქალაქეები კი არ იქნებიან უზრუნველყოფილნი, და წინანდებურად უძლური იქნებიან მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ სერიოზულათ ვშიშობთ, რომ ნამდვილი პანიკა შეიქნება ბაზარზე, რომელსაც მთავრობა თავს ვერ მოუვლის. შედეგი ის იქნება, რომ საზოგადოება საგრძნობლად დაზარალდება".

ამ რიგათ თუ სპეკულიაციას დევნა დაუწყეს და დაატუსაღეს სპეკულიანტები, მოქალაქენი შეწუხდებიან, ე. ი. არა სპეკულიანტები. ეს საკვირველებაა, მაგრამ „კავკ. სლოვოს" ძალიან უნდა, რომ ეს კანონი არ იქნეს გამოყენებული ცხოვრებაში და ამისთვის ენა ყველაფერს იტყვის. მაგრამ საკვირველია, რომ დემოკრატიას ე. ი. ხალხს, დღემდე სიტყვა არ დაუძრავს ამ კანონის წინააღმდეგ. „კავკ. სლოვოს" მოქალაქენი კი ალბათ ისე ახლოს არიან სპეკულიაციასთან, რომ არ შეიძლება მასთან ბრძოლის დროს არ იგრძნონ შიში.

რაც შეეხება გაფრთხილებას და მუქარას—ბაზარი გაიფიცებაო, ეს ჩვენ არ გვაშინებს, ბოლოს და ბოლოს ხომ ვაჭრების უსაზღვრო თავხასულობასაც უნდა დაედვას საზღვარი. და ჩვენ ვეცდებით, რომ ეს საზღვარი რაც შეიძლება შემოკლდეს

---

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

3 ოქტომბერი.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. ფლანდრიაში კამბრეს ორივე მხარეს და შამპანში ჩვენ მოვიგერიეთ მოწინააღმდეგის მკაცრი იერიშები. სენ-კანტენის სექტორზე, რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით და არგონების დასავლეთით ჩვენ წინ წაწეული ხაზები უკან დავწიეთ.

კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. შტადენის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიების დროს ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 100 კაცი. შარა გზაზე, რომელიც მიდის იპრიდან როზელირე მენინში, მოწინააღმდეგს ორივე მხრიდან მოჰქონდა უშედეგო იერიშები. მტერი გამაგრდა ლიდეგენში. კონტრ-იერიშის დროს ჩვენ ხელახლა ავიღეთ სოფლის აღმოსავლეთი ნაწილი. მოწინააღმდეგის კერძო იერიშები ლა-ბასსეს სამხრეთით მოვიგერიეთ. კამბრესთან ბრძოლის მეხუთე დღე მტრისთვის კიდევ უშედეგოთ დამთავრდა. სანკურტის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა მტრის შვიდჯერ განმეორებული იერიში მოიგერია. უფრო სამხრეთით მტერი შეიჭრა აბოკურტის იქით, ბოტინიეში და კუველლრუში, ბლეკურტის სამხრეთით. ჩვენმა კონტრ-იერიშებმა მტერი ისევ უკუ აქცია და ასე გაანთავისუფლა უშიშარი ვიუტენბერგელები, ბლეკურტის დამცველები, მოსალოდნელ გარშემორტყმისაგან. კამბრეს სამხრეთით ჩვენი მესამე დივიზიის, აგრეთვე შლეზვან-გოლშტეინის, ბრანდებურგის და ბავარიის ჯარის ნაწილებით მტრის შემოტევა შეჩერებულ იქნა.

გენ. ბოინის ლაშქარი. უკანასკნელ ღამეს ელეტსა და უაზის შუა ჩვენი ფრონტის ხაზი გადიოდა სენ კანტენის აღმოსავლეთით ბერტენიკურტისაკენ... (გამოტოვებულია)... მთელი დღის განმავლობაში ორჯერ დიდი იერიში მოიტანეს. მტერი სეკეხარტის ორივე მხრიდან შემოიჭრა. დასავლეთ პრუსიის და პომერანელ ბატალიონების კონტრ-იერიშით, რომელთაც პირადათ ხელმძღვანელობდა გენერალი ფონ-შევალლედერი, მტერი უკუქცეულ იქნა. სენ-კანტენის ალება მტერმა შესძლო.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ელეტსა და ენას შუა, რეიმსის ჩრდილო—დასავლეთით ჩვენ ჯარებს დავახვედრეთ ვესლედან. მტერი საგრძნობი

ღრმად დამწუხრებულნი ქვრივი ზინობია სოლომანის ასული ნამორაძისა, შვილები: ოლღა კინწურაშვილისა, გიორგი და შალვა ნამორაძეები, რძალი ოლღა ვასილის ასული ნამორაძისა, სიძე მიხეილ პავლეს ძე კინწურაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 30 ენკენისთვეს, ღამის 12 საათზე მშვიდათ გარდაიცვალა მღვდელი

**ანდრია გიორგის ძე ნამორაძე.**

პანაშვიდები ყოველდღე გორში, არტილლერიის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. დაკრძალვა შაბათს, 5 ოქტომბერს.

ნაწილებით უკან მოგყვა და სალამოთი იმყოფებოდა.. (გამოტოვებულია). ვალლერ ფრანსეში. შამპანში ფრანგებმა განაახლეს შეტევა. იერიშები შუადღემდე გრძელდებოდა ფორტის სენ-მარიმინტბუას წინაალმდეგ, შემდეგ კი პომმპიის წინაალმდეგ... (გამოტოვებულია)... მტრის იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. ჩვენი კონტრ-იერიშებით დანაკარგი ანაზღაურებულ იქნა. წინა ღამით ჩვენ მიერ დაკავებული პოზიციები ენის ორივე მხარეს გადიან მონტბუადან შალერგნეთით, ტყე ანტრში ბინარვილლეს ჩრდილოეთით და არგონის ტყით აპრემონტში. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა ამ ფრონტზე მოიგერიეს მტრის მრავალი იერიშები.

**ბერლინი.** სალამოს სამხედრო მოხსენება. ძლიერი ბრძოლებია ფლანდრიასა და შამპანში. კამბრესთან კი დღე მშვიდობიანად ჩატარდა.

**ვენა.** სამხედრო მოხსენება. იტალიის ფრონტზე სწარმოებს საშუალო საარტილერიო ბრძოლები.

**კონსტანტინეპოლი.** სამხედრო მოხსენება. პალესტინის ფრონტი. დიდი ბრძოლების შემდეგ დამასკის სამხრით დასავლეთის მაღლობებზე, სადაც ჩვენი და გერმანელების ჯარები დიდი ძლიერებით წინააღმდეგობას უწევდენ მტერს, იძულებული იყვნენ ქალაქი მტრისთვის დაენებებინათ. სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.

4 ოქტომბერი.

**ბერლინი.** მოწინააღმდეგეთა შეტევა ფლანდრიაში, სტადენის სამხრეთით და როზელირედან სამხრეთ დასავლეთით და დასავლეთით, მოვიგერიეთ. არმანტიერი და ლენსი 2 ოქტომბერს უბრძოლველად ავიღეთ. ჩვენ გადავედით ამ ქალაქების უკანა პოზიციაზე. კამბრესთან დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

შალდის მიდამოების მხრივ და რუმილის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

გერმანელ კრონ პრინცის ლაშქარი. ლეშატოსა და ფილონის სამხრეთით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტზე სრული სიწყნარეა. მოწინააღმდეგე დღემდე არ გამოსულა დამასკიდან. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

**ბერლინი.** როზელარის სამხრეთ-დასავლეთით, სენკანტენისა და შამპანის სამხრეთით, მტრის ძლიერმა შეტევამ უნაყოფოდ ჩაიარა და დიდი ზარალი მივაყენეთ მათ.

**ვენა.** მონტე ტომბის ფრთის სამხრეთით მოწინავე რაზმების შეტაკება ჩვენს სასარგებლოთ სწარმოებს. ბულგარეთში მომხდარ ამბების გამო, ჩვენ იძულებული ვიყავით ალბანიაში ჩვენი დივიზია უკან დაგვეწია, რის გამო ბერატი უბრძოლველად ჩაუვარდა მოწინააღმ ეგეს.

**პარიზი.** სენ-კანტენის რაიონში ჰინდენბურგის პოზიციაზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს ლასდანსა და სეკუმარის შუა, სადაც გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევენ. ჩრდილოეთით ფრანგები გამაგრდენ გზაზე (გამოტოვებულია) სენკანტენის აღმოსავლეთით და ბრძოლით წაიწიეს ვუბურგის აღმოსავლეთით. რეისის სამხრეთ-დასავლეთით ფრანგებმა წაიყვანეს 100 ტყვე. ფრანგებმა აიღეს კორშოი. ისინი მიადგენ გერმანელთა პოზიციას კონკერსა და ნუვილს შუა (სიტყვა გამოტოვებულია). შამპანიაში ბრძოლა გრძელდება. აქ ფრანგებმა გააფართოვეს თავისი ტერიტორია სომმ პის სამხრეთით. ფრანგების ჯარებმა დაამარცხეს გერმანელები და დაიკავეს ბლან-მონტის ნაწილი და მეტოას ფირმა (სიტყვა გამოტოვებულია) სომპეს სამხრეთ-დასავლეთით 5 კილომეტრით. ერთი დღე ღამის განმავლობაში ფრანგებმა ტყვედ წაიყვანეს 200 გერმანელი.

**ამერიკის სამხედრო ცნობა.**

ამერიკის ჯარმა საფრანგეთის ჯარებთან ერთად შეავიწროვეს მოწინააღმდეგე და დაიკავეს ბლანმონტი და სხვა გერმანელების პოზიციები შამპანიაში მოზელსა და არგონის ტყის შუა.

ჩვენ ჩვეულებრივ საარტილერიო სროლას ვაწარმოებდით და წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე.

**მოსკოვი.** ც. აღმ. კომიტეტის ბიულეტენი... (გამოტოვებულია) თათბირში შევიდენ შულგინი, ლვოვი და პოლოვცევი. დონისა და ყუბანის კონტრ-რევოლიუციონერებთა შორის უთანხმოებაა. ნიკოლაევში შიშიანობაა, გამოცხადებულია სამხედრო წესი, იქ გაგზავნეს ახალი სამხედრო ძალა. გაფიცვებს ელიან.

სოფიიდან გვატყობინებენ, რომ ბულგარიის მინისტრთა საბჭოს ხელი მოუწერია დეკრეტზე—შეიწყნარონ ყველა ის ტუსაღები, რომლებიც დასჯილ იქნენ ბულგარეთის ომში ჩარევის შემდეგ.

**ბერლინი.** იკრიბება უხუცესთა საბჭო რეიხსტაგის მოწვევის შესახებ. შესაძლოა ყრილობა 8 ოქტომბერს მოხდეს.

„ბერლინერ-ცეიტუნგი" იუწყება, რომ ბადენის მაქსი მოითხოვს შესდგეს მთავრობა, რომელშიაც უნდა შევიდენ პროგრესისტები, ცენტრი და სოციალ-დემოკრატები.

**ბერლინი.** ფონ ნაიერის უარყოფის შემდეგ (?) უმრავლესობა ბადენელ მაქსის კანდიდატურის მომხრე იყო. პრინცმა თანხმობა განაცხადა კანცლერის თანამდებობაზე, თუ უმრავლესობა პროგრამას მოიწონებს. სამინისტრო უნდა იყოს პარლამენტარული. პრინცის პროგრამა ჯერ გამოქვეყნებული არ არის. ლიბერალური პრესა სიხარულით შეეგება პრინცის კანდიდატურას.

**ინგლისის სამხედრო ცნობა.**

**ლიონი.** ვერდენის მთელ ფრონტზე მოკავშირეები იმარჯვებენ. ბელგიის ფლანდრიაში გუშინ ბელგიელ ინგლისელებთა ჯარებმა იერიში მიიტანეს რულერის მიდამოებზე, გადაჭრეს რულერის მენინის გზა. დუე-კაბრეს-სენ-კანტენის ფრონტზე ინგლისელთა ჯარებმა დაიკავეს პროვილი, ტულუა და იბრძვიან კაბრეს მიდამოებში. ინგლისელებმა აიღეს ლებეჟი, ლეკონცეი, ტორინი და შეშინ დე-დამის ჩრდილოეთი. იტალიელებმა აიღეს სუპირი. შამპანიაში არგონის აღმოსავლეთით ფრანგებისა და ამერიკის ჯარებმა საგრძნობლათ წინ წაიწიეს. ფრანგებმა მიაღწიეს შენტუამდე.

**პალესტინის ფრონტი**

იორდანის აღმოსავლეთით ტყვედ წაიწყვანეს 1000 ოსმალო.

**ბერლინი** გაიხსნა ავსტრიის პარლამენტი. შიგ დიდ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. პარტიები ერთმანეთს დაეტაკნენ.

**ბერლინი** ბულგარეთში ჩავიდენ ავსტრია გერმანიის ჯარები. ამბობენ, რომ შესდგება ახალი კაბინეთი, საცა შევლენ რამოდენიმე გენერლები.

**ბერლინი.** ბულგარეთში გაგზავნილ იქნა ავსტრო უნგრეთის ჯარები პულანცერისა და ბალტინის მეთაურობით და ავსტრიის ჯარები ალბანიიდან. ცნობა მოვიდა, რომ სოფიის ჩრდილოეთით ბრძოლა სწარმოებს. ცხადია, რომ ეს იქნება აჯანყებულ ბულგარელ ჯარების ბრძოლა.

**ბერლინი.** კონსერვატორული პრესა ქადაგებს ბულგარეთის შინაურ საქმეებში ჩარევას. გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა იარაღით ხელი შეუშალოს ბულგარეთის დროებით ზავს და საზავო მოლაპარაკების წარმოებას.

## მუშათა წერილები

### პარტიულ მუშაობისათვის.

II

წინა წერილში (იხ. „ერთობა" № 206) ჩვენ აღვნიშნეთ პარტიულ მუშაობის შეჩერების და ჩვენი ორგანიზაციების დაშლის მიზეზები და აგრეთვე საჭიროება დაუყონებლივ პარტიულ მუშაობის გაჩაღებისა. დღევანდელი ჩემი წერილის მიზანია ამხანაგებს გაუზიარო ის აზრი, თუ რა პრინციპი უნდა დაედვას საფუძვლათ მომავალში ჩვენს პარტიულ მუშაობას და რა ნიადაგზე უნდა მოეწყოს პარტიული ორგანიზაციები.

თვითმპყრობელობის დანგრევის შემდეგ, როდესაც ჩვენს პარტიას საშვალება მიეცა მანამდის არალეგალური მუშაობა ლეგალურათ ეწარმოებია, ჩვენი პარტია საოცარი სისწრაფით გაიზარდა. დემოკრატიის დიდი უმრავლესობა ჩვენი პარტიის წევრებათ გახდა. მიუხედავათ იმისა, რომ პარტიის წევრთა მიღება სწარმოებდა პარტიულ ამხანაგების თავდებობის ქვეშ, მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტია მასიურ პარტიათ გადაიქცა, შეუძლებელი გახდა, რომ პარტიაში არ შეპარულიყვნენ ისეთი ელემენტები, რომლებსაც პარტიის წევრობა მხოლოდ იმიტომ უნდოდათ, რომ ხალხში ავტორიტეტი მოეპოვებიათ, რომ ვითომ ისიც „პარტიული კაცი" იყო, მით უმეტეს ისეთი პარტიის წევრი, რომელსაც მთელი დემოკრატიის ნდობა აქვს დამსახურებული. ამით ის ხალხის თვალში კეთილსინდისიერ კაცათ ხდებოდა. ნამდვილათ კი მისი მსოფლიო-მხედველობა და მოქმედება ძირიანათ ეწინააღმდეგებოდა ჩვენი პარტიის პრინციპებს. ასეთი ადამიანები არა ერთი და ორი მოყვნენ ჩვენს პარტიაში და ამან ჩვენს მოწინააღმდეგეებს საბაბი მისცა ფართო მასაში პროვოკაცია ეწარმოებიათ მთელი ჩვენი პარტიის წინააღმდეგ და ამან აქა იქ თავისი ნაყოფიც გამოიღო ჩვენი პარტიის საზარალოთ.

თუ ასეთი იყო მდგომარეობა ქალაქებში, ამაზედ კიდევ უფრო ფართე მასშტაბით მიმდინარეობდა პარტიული ორგანიზაციების შექმნა სოფლებში. სოფლის დემოკრატიაში რევოლიუციის პირველ დღეებში ის აზრი იყო გამჯდარი, რომ თუ რომელიმე გლეხი პარტიის წევრი არ იყო და განსაკუთრებით ჩვენი პარტიის, არასაიმედო პიროვნებათ ითვლებოდა, მისთვის გლეხი იძულებული იყო პარტიაში ჩაწერილიყო, მაგრამ პარტიული მოვალეობის შეგნება მასში არ მოიპოვებოდა. მის დიდ უმრავლესობას პარტიული ორგანიზაციები მიაჩნდენ იმ დაწესებულებათ, სადაც მას შეეძლებოდა როგორც ადმინისტრატიული, ისე სამოსამართლო საქმეების მოგვარება და სწორეთ ამ მიზნით ეტანებოდა გლეხების უმრავლესობა რევოლიუციის პირველ დღეებში პარტიულ ორგანიზაციებს და ცდილობდა მასთან დაახლოვებას. პარტიული ორგანიზაციები რა თქმა უნდა ასეთ საქმეებში ვერ გაერეოდენ და გლეხებს საადმინისტრაციო და სამოსამართლო საქმეებს ვერ მოუგვარებდენ.

ორგანიზაცია იწვევდა პარტიულ კრებებს, სადაც პარტიული საქმეები უნდა გარჩეულიყო, გლეხი კი მიდიოდა იქ და მიჰქონდა თავისი კერძო საჩივარი და სთხოვდა კრებას მისი საქმის განხილვას. სოფლებში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც კრების ხელმძღვანელები იძულებული გამხდარან პარტიული კრება მასსიურათ გამოეცხადებიათ და კერძო საქმეების განხილვას შესდგომოდენ. ამის მოწამე მე ხშირათ გახლდით გურიაში, იქ სადაც გლეხკაცობა ყველაზე უფრო მაღლა დგას როგორც კულტურული, ისე პარტიული შეგნებით. თუ ეს ხდებოდა გურიაში, რაღა ითქმის დანარჩენ ნაწილებზე საქართველოს რესპუბლიკისა!

ამ არა-ნორმალურ გარემოებას ყველაზე უწინ თვით გურიის მოწინავე ამხანაგებმა მიაქციეს ყურადღება. მათ პარტიიდან გამორიცხეს ეგრეთ წოდებული პასსიური ელემენტები, ისეთები, რომლებსაც ერთის მხრით პარტიულ კრებებზე დასწრება ეძნელებოდათ, და მეორეს მხრით პარტია ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, როგორც კერძო საქმეების მომწესრიგებელი დაწესებულება. პარტიაში დარჩენ აქტიური ელემენტები, რომლებსაც კარგათ აქვთ გათვალისწინებული და შეგნებული პარტიული დისციპლინა და პარტიის წევრთა მოვალეობანი. აქ შეიძლება ამხანაგებმა იფიქროს, რომ ის პარტიიდან გამოსული ხალხი უკმაყოფილო დარჩებოდა ასეთი მოქმედებით და მომავალში ჩვენი პარტიის მიმდევარი აღარ იქნებიანო, მაგრამ ასეთი ფიქრი ტყუილი შიში იქნება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს პარტიას ისეთი გავლენა არას დროს არ ჰქონებია გურიაში, როგორიც ეხლა აქვს, პარტიის ჩამოყალიბების შემდეგ. ამ გარემოებით ერთი მხრით გლეხკაცობა განთავისუფლდა იმ ზედმეტ კრებებზე სიარულისაგან და თავის კერძო საქმეზე მოცდენისაგან, მეორეს მხრით პარტიული მუშაობაც უფრო ნაყოფიერი შექნა იმ ჭეშმარიტ პარტიულ ამხანაგებში, რომლებიც პარტიაში დარჩენ. დღეს გურიაში პარტიულ კრებებზე ირჩევა წმინდა პარტიული საქმეები, ხოლო მასსიურ კრებებზე ჩვენი ამხანაგების ხელმძღვანელობით კულტურული თუ კერძო საქმეები. ამით გლეხკაცობაც მეტი კმაყოფილია ჩვენი პარტიის მოქმედებით, რაც მან დაამტკიცა საერობო არჩევნების დროს, სადაც მიუხედავათ ტეხნიკურათ ცუდათ მოწყობილ არჩევნებისა 70-მა პროცენტმა მაინც მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და მცირე გამონაკლისს გარდა სოციალისტურ ბლოკს მისცა ხმა

და მე ვფიქრობ, რომ იმ ამხანაგებმა, რომლებიც დღეს სოფლებში ორგანიზაციულ მუშაობას აწარმოებენ, უნდა იხელმძღვანელონ შემდეგნაირათ: უნდა შემოიკრიბონ მათ გარშემო ისეთი ხალხი, რომელთაც გარკვეული შეხედულება აქვთ ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიის პროგრამისა და ტაქტიკაზე. ასეთი ამხანაგებისგან შეადგინონ ორგანიზაცია და მისცენ მათ გარკვეული სამოქმედო გეგმა შემდეგისათვის და ეს გეგმა ჩემის აზრით უნდა იყოს შემდეგი: ორგანიზაცია პარტიის წევრებათ მიიღებს ისეთ ნაწილს დემოკრატიისას, რომელსაც ასე თუ ისე გარკვეული აქვს ჩვენი მოქმედების ხაზი, ისეთ ნაწილს, რომლებიც შეძლებენ ხალხში კულტურული მუშაობის გაჩაღებას და მით თვითშეგნების გაფართოვებას, საერთო კრებებზე ისეთი ხაზის გატარებას, რაც დემოკრატიის კეთილდღეობას ემსახურება. ასეთ ნიადაგზე დამდგარი ორგანიზაციები დიდ სამსახურს გაუწევს დემოკრატიას და ამავე დროს ჩვენი პარტიული მუშაობისთვისაც უფრო სასარგებლო იქნება.

მომავალში ჩვენი ორგანიზაციები უნდა ცდილობდენ, რომ პარტიაში ითვლებოდეს ნამდვილი პარტიული ამხანაგები და არა ისეთი ელემენტები, რომლებსაც პარტიული იარლიკი თავის კერძო საქმეებისთვის უნდა გამოიყენონ და რაკი პარტიული მოწმობა მიიღეს, მას შემდეგ ერთხელაც არ გახსენებიათ არც პარტიულ კრებებზე დასწრება და არც საწევრო ფულის გადახდა უნდა ვაწარმოოთ ფართო მასაში კულტურული მუშაობა, ვეცადოთ, რომ განათლებით და შეგნებით დაბალ საფეხურზე მდგომი დემოკრატია არ მოატყუილონ ხალხის მტრებმა და პროვოკატორებმა და ეს უდიდესი სამსახური იქნება დემოკრატიისათვის და ასეთი მუშაობისათვის ის მუდამ ჩვენი ერთგული და მომდევარი დარჩება.

აი, ამ მიზნებს უნდა ემსახუროს მომავალში ჩვენი პარტიული ორგანიზაციები და არა პარტიის წევრთა რიცხვის გამრავლებას, როგორც ეს ხდებოდა რევოლიუციის პირველ ხანებში. გვახსოვდეს, რომ ძალა მარტო რიცხვის სიმრავლეში კი არ არის, არამედ შეგნებაშია.

ს. ელიაძე.

## ახალი ამბები

**კრება.** სამეგრელოს დამხმარე კომიტეტისა და ეროვნულ საბჭოს მეგრულ წევრთა შეერთებული კრება დანიშნულია სასახლეში, კვირას 6 ოქტომბერს, დილის 12 საათზე, საფინანსო კომისიის ოთახში № 23. კრების საგანია: სამეგრელოს ადმინისტრაციის რეორგანიზაცია. ვთხოვთ ზემოდასახელებულ დაწესებულებათა წევრთ უსათუოდ დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

✦ **რკინის გზის მთავარ სახელოსნოების** ადგილობრივ კომიტეტის სხდომამ მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის ზომები გორის მაზრის თავად აზნაურობის შეთქმულობის წინააღმდეგ და დადგენილ იქნა: ეთხოვოს მთავრობას მიღებულ იქნას საგანგებო და სასტიკი ზომები იმ პირთა შესახებ, რომელნიც ერივნენ ამ შეთქმულობაში, ვინაიდან ისინი უხეშ ძალით სცდილობდენ თავის დაკარგულ პრივილეგიების აღდგენას.

✦ **ერობა** დაიწყო დუშეთის მაზრაში ერობის ხმოსანთა არჩევნები.

✦ **ევგ. გეგეჭკორი და გენ. მაზნიაშვილი** 3 ოქტომბერს შუადღის 4 საათზე ეკატერინოდარიდან თფილისში ჩამოვიდენ.

✦ **ქართულ-გერმანული საზოგადოება.** კვირას, 6 ენკენისთვეს, დილის 12 საათზე ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში (სასახლის ქ. № 5) ქართულ გერმანულ საზოგადოებაში შესდგება ლექცია ბ-ნ თილოვან ვესტერჰაგენის შემდეგ თემაზე: ეკონომიური ვითარება ევროპაში ომიანობის შექმნილ პირობებში და კავკასიის მნიშვნელობა ომის შემდეგ. ლექციას თან სდევს ბუნდოვანი სურათები. საჭიროა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღებით მოეკიდოს ხსენებულ ლექციას. ლექციის შემდეგ კამათი.

✦ **უმუშევართა აღწერა.** დღეს დაიწყო თფილისში მყოფ უმუშევართა (კაცთა და ქალთა) აღწერა. აღწერა გაგრძელდება სამს დღეს.

✦ **თხოვნა ფინანსთა მინისტრს.** დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეთა ცენტრალური კავშირის გამგეობა სთხოვს თფილისში უმაღლეს მთავრობას ჰქნას განკარგულება ქუთაისის სახაზინო პალატის მმართველისადმი, რათა მან მოახდინოს დანიშვნები ხაზინებში იმ თანამდებობაზე, რომელიც არის თავისუფალი თითქმის თვეზე მეტი, არა ქართველ ტომის მოხელეების განთავისუფლების გამო და მით მისცემს საშვალება დანარჩენ მოსამსახურეებს შეასრულონ სამსახურში თავიანთი პირადი მოვალეობანი და ზედმეტ შრომისაგან გაანთავისუფლონ.

✦ **იურიდიული დახმარება მუშებს.** პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ საბჭოსთან დაარსებულია კონსულტაცია იურიდიული დახმარების აღმოსაჩენათ როგორც კავშირებისთვის, ისე კერძო წევრებისათვის. კონსულტაცია ღიებულია სალამოს 6—8 საათამდი სამშაბათობით და პარასკეობით. მისამართი: პეტრედიდის ქუჩა, № 18.

✦ **პოეზიის სალამო.** გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სალამო გაიმართება დღეს კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩა, № 8). წაკითხული იქნება პოეტის მრავალი ახალი ლექსები. წარმოთქმულ იქნება სიტყვები და სხვა. დღესვე შეიძლება ბილეთების შეძენა თვით კონსერვატორიაში. სალამო დაიწყება 8 საათზე.

✦ **„გუმმეტის" სალამო.** ს.-დ „გუმმეტის" პარტიის ც. კ. კვირას, 6 ოქტომბერს, ქართული კლუბის საზაფხულო შენობაში მართავს გრანდიოზულ ხელოვნების და პოლიტიკის სალამოს, საცა მოწვეულნი არიან სახელმწიფო თეატრის, მუსიკის და პოეზიის საუკეთესო ძალნი, საზოგადო მოღვაწენი და სხვ. დაიდგმის ახალი სურათი, რომელიც სიმბოლიურად გამოხატავს ამიერკავკასიის ერთობას. როგორც სტუმარნი, მოპატიჟებული არიან საქართველოს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწენი, დიპლომატიური წარმომადგენლები და სხ. მთელი შემოსავალი მოხმარდება საქართველოს მუსულმანთა განათლების საქმეს.

✦ **სამხედრო ექიმთა კრება** პროფესიონალურ კითხვათა შესახებ დანიშნულია დღეს, 5 ოქტომბერს, 4—6 საათზე ქართულ კლუბში. სასურველია ამხანაგები უსათუოდ მობრძანდენ.

✦ **ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 2 ხოლერიანი და 3 საეჭვო ავადმყოფი. მორჩა და გამოეწერა 2 კაცი, გარდაიცვალა 6 დარჩა 62 ხოლერიანი და 8 საეჭვო.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

ხვალ (კვირას) დილის 10 საათზე ვაჟთა მეექვსე გიმნაზიაში (უდელის ქუჩა № 3) დანიშნულია „ახალი კვალის" სარედაქციო კოლეგიის კრება.

— ხვალ (კვირას) დილის 11 საათზე მე 6 სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3) დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის ორგანიზაციის საერთო კრება. ცენტრალურ კომიტეტის წევრებს ვთხოვთ უსათუოთ დაესწრონ ამ კრებას.

— კვირას, 6 ოქტომბერს წრის ბინაზე (მიხეილის ქ. № 102) სახ. სახ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის გამგეობის მიერ დანიშნულია საზოგადო კრება დილის თერთმეტ საათზე. განსახილველია: ხარჯთ-აღრიცხვა, გასულ სეზონის ხარჯების განხილვა და გამგეობის არჩევნები.

— შაბათს 5 ოქტომბერს, საღ. 6 ს. მეორე რაიონულ კოლექტივში (სახალხო სახლის შენობა, შესასვლელი ეზოდან) დანიშნულია ს. დ. მ. პ. ქალთა კომიტეტის კრება. დასწრება აუცილებელია.

**ერთობის უბანი.**

სულ ცოტა ხანია, რაც ერთობის უბნის კომიტეტთან არსებულ თავდაცვის და სანიტარულმა კომისიამ დაიწყო თავისი მოქმედება და ამ მუშაობის ნაყოფს უკვე ვხედავთ. მეტი წილი მცხოვრებლებისა სიამოვნებით შეხვდა იმ მოვლენას, რომ საჭიროა უბნის დაცვა და გამოდიან რიგ-რიგობით სადარაჯოთ. ღამე სადარაჯოთ გაწვეულები არიან ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან. ამ უბანში ვერ ნახავთ მთვრალი ადამიანების თავხედობას და წესიერება სუფევს.

თუ მცხოვრებლების უმრავლესობა სიამოვნებით შეხვდა ამ მოვლენას, სამაგიეროთ იგივე არ ითქმის ზოგიერთა ვაჟბატონებზე, რომლებიც ბუზღუნით შეხვდენ ამ უბნის მცხოვრებთა საერთო დადგენილებას. როგორც უკვე ვსთქვი, ამ დადგენილების თანახმათ სადარაჯოთ გაწვეულები არიან ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეუძლიან, ღამის დარაჯობიდან განთავისუფლებულნი არიან სახალხო გვარდიელები, საწარმოვო დაწესებულებებში ღამე მომუშავენი, მოხუცებულები და ავადმყოფები. თითქოს ამ დადგენილების საწინააღმდეგო არავის არაფერი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინც აღმოჩნდნენ რამდენიმე პირები, რომლებიც არ ემორჩილებიან ხალხის საერთო დადგენილებას და უარს ამბობენ ღამით დარაჯობაზე.

ალბათ მიჩვეულნი ბრძანდებიან ღამით ტკბილათ ძილს!

იმედია თავდაცვის კომისია სისრულეში მოიყვანს საერთო კრების დადგენილებას და ზომებს მიიღებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არ გამოვლენ ღამე სადარაჯოთ.

უბნის ანტისანიტარულ მდგომარეობას ხელს უწყობს ქუჩების მოუკირწყლაობა და მასთან ნაგვის გადასაყარი ადგილის უქონლობა. როგორც ქუჩები, ისე ეზოები ეხლა ხშირათ იგვება, მაგრამ ნაგავი იქვე ალაგ ალაგ გროვდება.

მე მგონია, რომ ეს ქალაქის გამგეობის მოვალეობაცაა და მეტი არ იქნებოდა, რომ კვირაში ერთი დღით მაინც დაგვითმოს ნაგვის „ტაჩკა" ცხენით და მით საშვალება მოგვცეს ნაგავი როცა საჭიროა გადავყაროთ.

ნ. თ—ლი.

## მოვალეობის მსხვერპლი

### ილია (ილიკო) შერმანდ. რამიშვილი.

24 აგვისტოს ჯვერდაში აჩმეზმახის მთაზე გმირულად დაიღუპა ასკერებთან ბრძოლაში თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმის წევრი ილიკო რამიშვილი. განსვენებული იყო მშვიდი, გულწრფელი და ყველა ამხანაგებისთვის ერთგული მეგობარი. 1915 წლიდან დაწყებული ის სულ ჯარში მსახურებდა. ბათუმის დაცემის შემდეგ გადაეწერა საგანგებო რაზმში, სადაც ერთგულად ასრულებდა თავის წმინდა მოვალეობას. არა ერთხელ ყოფილა უკიდურეს განსაცდელში. მაგრამ 24 აგვისტო მისთვის საბედისწერო გამოდგა, ამრიგათ თავისუფლების და სამშობლოს დაცვის საქმეს მან შესწირა უდიდესი განძი—თავისი სიცოცხლე. სათაყვანებელია ასეთი გმირები საერთოდ ... საც საზოგადოება გულგრილობას მოუცავს. სამწუხაროა, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლ ისედაც მცირე რაზმს ასეთი გმირები აკლდებიან. განსვენებულს დარჩა მოხუცი დედა და დები, რომლებიც, თქმა არ უნდა, ყოველ მხრივ უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან ილიკოს დაკარგვის გამო. ეჭვი არაა, ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა ვისგანაც ჯერ არს. საბრალო დედამ უნდა ინუგეშოს მით, რომ მისი შვილის სახელი სხვა გმირებთან ერთად უკვდავი იქნება, სანამ ცოცხალია ჩვენი თავისუფლება.

თ. რ—ი.

## მთავრობაში

სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა ყოველი კასის ერთიანობის დარღვევა მიჩნეულ იყოს საპასუხისმგებლო მოქმედებად.

სამეგრელოში მომქმედ რაზმის უფროსის გედევანიშვილისაგან მოსული ცნობის შესახებ (დამნაშავეთა გასამართლება), მთავრობამ დაადგინა დაევალოს იუსტიციის მინისტრს სათანადო განკარგულება მოახდინოს, რომ საქმის სიჩქარისათვის დამნაშავეთა საქმე ცალცალკე ირჩეოდეს და არა ერთბაშად.

სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებით გაუქმებულ დაწესებულებათა მოხელეთათვის საჭირო მოწმობის მიცემის შესახებ, მთავრობამ დაადგინა საკრედიტო მოწმობების შემუშავება მიენდოს იუსტიციის მინისტრს შრომის მინისტრთან შეთანხმებით.

სამხედრო მინისტრის ამხანაგის მოხსენებით სამხედრო და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებს დაევალა, ჯარისკაცებზე და სახალხო გვარდიის ნაწილებზე სოფლის მცხოვრებთა საჩივრები გამოიძიონ.

მიწათ მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა მუშტაიდის ბაღი გადავიდეს ქალაქ თფილისის ხელში იმ დრომდე, სანამ ამას საქართველოს მთავრობა საჭიროდ დაინახავს.

მიწათმოქმედების მინისტრის კანონ პროექტი 61,500 მანეთის გაღებისა მინერალურ წყლების სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლის შესახებ მოწონებულ იქნა და დადგენილ იქნა კანონ-პროექტი გადაეცეს გასარჩევად ეროვნულ საბჭოს.

———

სათესი ადგილების შემცირების წინააღმდეგ საშუალების გამონახვის შესახებ მიღებულ იქნა მოხსენებაში აღნიშნული ზომები იმ განმარტებით, რომ როცა შემოღებულ იქნება ერობა, ამ საქმის მოგვარებაც უკანასკნელს დაევალება.

———

ფინანსთა მინისტრის მოხსენება შაქარზე ერთდროულ გადასახადის შემოღების შესახებ, მოწონებულ იქნა და დადგენილ იქნა გადაეცეს განსახილველად ეროვნულ საბჭოს.

———

გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 9,166 მ. 66 კაპეიკის კრედიტი თფილისის სახაზინო პალატის სადგომის ქირის გასასტუმრებლად.

———

გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 30,000 მ. ათ მილიონიან ფონდიდან სახაზინო პალატის სასტამბო საქმეებისათვის.

———

სვანეთში ოქროს მოსაძებნად ექსპედიციის გაგზავნის შესახებ მოხსენება გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

———

მოხსენება გასართობებზე შესავალ ბილეთების გადასახადის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ მოწონებულ იქნა და დადგენილია წარედგინოს ეროვნულ საბჭოს კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ გასართობებზე შესავალი ბილეთების გადასახადი, რომელიც არსებობდა ყოფილ დედოფალს მართა თედოროვნას უწყების სასარგებლოდ, გადაირიცხოს საქართველოს ხაზინის შემოსავლად.

განათლების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: კანონ-პროექტი პირველ-დაწყებითი სასწავლებლების გახსნის შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად.

გაეხსნას განათლების მინისტრს 10,000 მანეთის კრედიტი ათ-მილიონიან ფონდიდან კავკასიის მუზეუმის ამშენებელ კომისიისათვის საჭირო ხარჯების მისახდენად.

———

კანონ პროექტი გურიის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის ერთდროული დახმარების შესახებ მოწონებულ იქნას და გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

———

დაევალოს ფინანსთა სამინისტროს დაუყონებლივ მისცეს პროვინციის მახ...

წავლებლებს ჯამაგირები, მხოლოდ ეს მოხდეს საჰხედრო სამინისტროს დაკმაყოფილების შემდეგ.

შრომის მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: ჯარისათვის თივისა და ხორცის მიმწოდებელ ორგანიზაციების ოხელეთათვის საკრედიტო მოწმობის მიცემა მიენდოს შრომის მინისტრს.

——

გაეხსნას შრომის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 5000 მანეთის კრედიტი სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის.

——

დაწესდეს მომრიგებელ კამერაში მთავრობის წარმომადგენლობა; წარმომადგენლებათ დაინიშნოს: გიორგი ბახტაძე, ალ. ფარნიევი; მესამე წევრის დანიშვნა მიენდოს მიწადმოქმედების მინისტრს.

——

მიენდოს მთავრობის საქმეთა მმართველს და იუსტიციის მინისტრს შემდეგი სხდომისათვის სალიკვიდაციო კანონის განმარტების წარმოდგენა.

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: წინადადება მიეცეს ჩვენს წარმომადგენელს ადერბეიჯანში ახლავე გაემგზავროს ბაქოში განაღების შესახებ; მიეცეს იოსებ დადიანს ბარათი, რომ მას მინდობილი აქვს სასწრაფოდ მოაწყოს ნავთის გადმოგზავნა.

გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: არბიტაჟის წევრის დანიშვნა მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრს.

——

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 6,730 მან. 43 კაპეიკის კრედიტი თფილისის საპყრობილეთა ინსპექტორის განკარგულებაში გადასაცემად.

——

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს 188,750 მანეთის კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან თფილისის სატუსაღოს ინსპექტორის ხელში გადასაცემად.

——

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 68,550 მანეთის კრედიტი კანცელარიის ხარჯების დასაფარავად სმეტის ანგარიშში.

——

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 82,662 მან. 25 კ. კრედიტი თფილისის ციხეების შესანახად სმეტის ანგარიშში.

——

მთავრობის საქმეთა მმართველის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს ათ მილიონიან ფონდიდან ათიათასი მანეთის კრედიტი ამიერკავკასიის სეიმის სტენოგრაფიულ ანგარიშების დასაბეჭდ ხარჯების დასაფარავად.

## ფოსტა-ტელ. მოხელეთა ცხოვრებიდან

დღეს მდგომარეობა ცუდია. ის ხელფასი, რომელიც ეძლევათ მათ არ უკმაყოფილებს დღიურ მოთხოვნილებათა ნახევარს. ეს გროშებიც, გადის მესამე თვე და არ მიგვიღია. პირდებიან ოთხშაბათს თუ არა პარასკევს მაინც იქნება ჯამაგირებიო. მოხელეებიც ოთხშაბათიდან პარასკევამდე დაუსრულებელ კუდებათაა ჩამწკრივებული. პარასკევს კი ორ საათზე უცხადებენ: დღეს ფული ვერ ავიღეთ, ხვალ მოდითო. მოხელეების კუდები, რომლებიც ცის მანანასავით უცდიდენ ჯამაგირებს, სევდიანი სახით ბრუნდებიან ბინაზე. და ასე ხდება დაუსრულებლივ, ოთხშაბათ-პარასკევი და ხვალ ჯერაც არ გათავდა. მოთმინებიდან გამოსული მოხელეები მივარდებიან კანტორის უფროსს, ის ოლქის უფროსთან გზავნის, ეს უკანასკნელი კი მინისტრზე მიუთითებს და ასე.

ჩვენ ჯერ ვითმენთ, მაგრამ მოთმენასაც საზღვარი აქვს და მატერიალურად აუტანელმა მდგომარეობამ შეიძლება გვაიძულოს და თფილისის მოხელეებიც საერთო ფრონტს მოწყდეს. მაშინ კი თუ ოფიციალური გაფიცვები არა, იტალიანური გაფიცვები მაინც დაიწყება და ეს კი უკანასკნელად დასცემს ფოსტა-ტელეგრაფის საქმეს ჩვენში, ამიტომ ვისაც ჩვენი რესპუბლიკა უყვარს, დაინტერესებულია მისი არსებობით, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ დაწესებულების მოხელეთა მდგომარეობას.

ხიესი.

## ამხ. გ. ჯანშიევის ხსოვნას

სამშაბათს, 17 სექტემბერს, მიწას მივაბარეთ გვარდიელი გ. ჯანშიევი. იგი ერთ საუკეთესო და პატიოსან მუშათ ითვლებოდა ჩუღურეთში. იგი 1903-დან ირიცხებოდა პარტიის წევრად და მხურვალე მონაწილეობას იღებდა პარტიულ მუშაობაში. რევოლიუციის შემდეგ ის სხვებთან ერთად ჩაეწერა გვარდიაში. სადახლოსთან თათრის ბანდებთან ბრძოლის დროს ის გაცივდა, დაავადმყოფდა და გარდაიცვალა. განსვენებულს დარჩა ცოლი, ხუთი პატარა შვილით, რომელნიც საჭიროებენ დახმარებას. ამხანაგებმა გადასწყვიტეს გვირგვინის ნაცვლად ფულით დახმარება აღმოუჩინონ მიცვალებულის ცოლ შვილს.

მშვიდობით ამხანაგო გევორქ! შენი სახელი დაუვიწყარი იქნება შენს ამხანაგებში.

ამხ. დავალებით მკერვალი ნიკო.

——

### ძამუ სალაიას ხსოვნას.

ჩვენი პატარა ძამუ, ჩვენი დიდი ამხანაგი, ჩვენი სიცოცხლით და ენერგიით სავსე, შეგნებული მუშაკი ქალი, რომელიც ყოველგვარ პარტიულ და კულტურულ მუშაობაში გვამხნევებდა და წინ მიგვიძღოდა, აღარ გვყავს! ჩვენს ისედაც მცირე რიცხვს გამოაკლდა ეს დიდი ადამიანი.

გონება მერყევა ამხანაგო, თვალები ცრემლებით მევსება და ვსტირი იმ სინამდვილეს შენი არყოფნისას, რომელიც გაზეთებმა გვაუწყა. სავალალოა, ამხანაგო, შენი დაკარგვა ამ საბედისწერო მომენტში. ამ დროს უფრო მეტად გვესაჭიროებოდა შენებრ სპეტიკი და უანგარო ამხანაგი, რომელიც დაუზარელად და თავდადებულათ იმუშავებდა ჩვენთან ერთად.

ჩემო ძამუ! დღეს გვჭიროდა ჩვენ ქალებს შენი თავი და გავალებდით მებაირახტრობას ჩვენის დროშის, რომელზედაც სისხლის ასოებით აწერია „თავისუფლება, ქალთა სწორ უფლებიანობა და სოციალიზმი“.

სამწუხაროა საყვარელო დაო, რომ შენ ვერ მოკვდი მშვიდი და წყნარი სიკვდილით. მე დარწმუნებული ვარ შენი უკანასკნელი წამები, აღშფოთებული იქნებოდა საერთო საშინელი მდგომარეობით და ვერც განუგეშებდი რასმეს. მაგრამ შენს ხსოვნას და სიყვარულს ვფიცავ მუდამ გულით ვატარებ და თუ ოდესმე გამარჯვებას მოვესწარით საფლავში ჩამოგძახებთ ამ გამარჯვებას.

შენი ბარონესა.

## საექიმო დახმარების მოწყობა საქართველოში

I

საექიმო დახმარების საქმე საქართველოში არა დგას სასურველ სიმაღლეზე.

თუ ოდნავ თვალს გადავავლებთ წარსულს, თვალ ნათლივ დავინახავთ, რომ ის პირობები, რა პირობებშიაც უხდებოდა ჩვენს ექიმებს მუშაობა, ხელს ვერ შეუწყობდნენ მათ საჭირო სიმაღლეზე დადგომას მაინცა და მაინც არც უმაღლესი სასწავლებლები ცდილობდენ, რომ თავისი პირმშო შვილები აღეზარდათ ნამდვილ ადამიანებათ, აღეჭურვათ მეცნიერულ ცნობებით და ამრიგათ მომზადებული დაეგზავნათ თავიანთ სამშობლოში სამუშაოთ.

ჩვენში, საქართველოში, მაინც საექიმო დახმარება განსაკუთრებულ უნუგეშო სურათს წარმოადგენს. არ გვყვანდა ნამდვილი ექიმები, არ გვქონდა საავათმყოფოები არამც თუ დაბა-სოფლებში, არამედ დიდ ქალაქებშიც.

მოუმზადებელ, ახლად გამოჩეკილ ექიმებს უკრავდენ ხოლმე თავს სადმე სოფელში სამუშაოთ. ბევრმა მათგანმა არც კი იცოდა და არც ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა მოელოდა მას მომავალში.

ბევრი არა ერთხელ გაწითლებულა, თავის ფერშლის წინაშე, რადგანაც ხშირად ახალგაზრდა ექიმის შეცდომებს ასწორებდა გამოცდილი ფერშალი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეცდომები არა ერთს ჩვენთაგანს გამოუცდია და ავტორიტეტი ამა თუ იმ ექიმის ისე დაუციათ ამ შეცდომებს, რომ იგი იძულებული ყოფილა ეცვალა ადგილი ან და სულ გამოქცეულიყო სოფლიდან და შეხიზნებოდა რომელიმე ქალაქის საავათმყოფოს რამდენიმე თვით მაინც. ზოგი კი და უფრო მომეტებული რჩებოდა თავისდა უნებლიეთ სოფლებში და მუშაობდა ძალა-უნებურათ. ადვილი წარმოსადგენია რას დაემზგავსებოდენ ამნაირი ექიმები, ან და რა გავლენა უნდა ჰქონოდეთ ამათ ხალხზე და თავის თანამშრომლებზე.

სხვათა შორის ამითიც აიხსნება, რომ სოფლებში ამნაირ ექიმებს არ ენდობიან და ხშირათ უფრო მიმართავენ ან შინაურ ექიმბაშებს, ან ფერშლებს. ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი საქართველო ომამდის, ეხლა აი უფრო უნუგეშო მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილი. არა თუ ექიმებს, ფერშლებსაც ვერ ნახავთ სოფლებში, არის ხალხი მიტოვებული თავის ანაბარათ და იხოცება უპატრონოთ.

მძვინვარებს გადამდები სენი, ანადგურებს ხალხს, მშველელი კი არსაიდან სჩანს. ინიშნება ხანდახან ექიმები ამ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველათ, მაგრამ ნაყოფი ამნაირ შრომისა უარყოფითია.

ან და რა უნდა გააკეთოს ექიმმა ერთი ნახვითა, უწამლოთ და უთანამშრომლებოთ! არის დრო ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ არა ნორმალურ გარემოებას!

დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ამას თავის კალაპოტში ჩააყენებს ერობა.

სხვათაშორის, ამიტომაც არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს ჩქარა შემოიღოს იგი.

ვგონებ ამ ერთ—ორ თვეში ერობა მოიკიდებს ფეხს საქართველოში და ჯეროვან ყურადღებასაც მიაქცევს ხალხის ინტერესების დაცვას.

მანამ კი საჭიროა კატეგორიულად გამოირკვეს, რა ფორმაში იქნება ჩამოყალიბებული საექიმო-სასანიტარო უწყება.

ამ ბოლო დროს ხშირათ იწერება გაზეთების ფურცლებზე ამის შესახებ და არის ლაპარაკი ცენტრალიზაციაზე და დეცენტრალიზაციაზე ხსენებულ უწყებისა. არის მომხრეები პირველის და მეორესიც.

ჩემი ფიქრით წეს-წყობილება, სადაც უფრო მომეტებული ადგილი ექნება დემოკრატიზაციის—დემოკრატიულ წესდებებს—უფრო მისაღებიც არის ხალხისთვის და უფრო გულწრფელათ შეუდგება იგი თავის მიზნების განხორციელებას; ამიტომ, ვგონებ, ვისაც სურს აყვავება საქართველოს რესპუბლიკისა, გაკულტურება ჩვენი ხალხისა, მომეტებული ადგილი უნდა დაუთმოს ყოველ საქმეში თვით ხალხს, ყველაფერი, რაც ხდება ცხოვრებაში, უნდა ხდებოდეს ხალხის სურვილის თანახმად თვით ხალხი უნდა იყოს დაინტერესებული ყოველ ახალ ნაბიჯის გადადგმაში, ყოველ ახალ რეფორმების შემოღებაში. მაშინ არავითარ დაუდევრობას, გაუგებრობას და ინდიფერენტიზმს არ ექნება ადგილი ხალხის ცხოვრებაში.

ამიტომ დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენმა მთავრობამ იმ მიმართულებას, რომელიც დეცენტრალიზაციის მომხრეა.

ვფიქრობ, რომ სწორედ ეგ ფორმა არის მისაღები სასანიტარო-საექიმო უწყების საქმეში.

ექიმი მ კობერიძე.

## საბაჟოები

ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბაჟოები ახალ წესზე მოეწყო. შიგ მოყვენ ბევრი ისეთი პირები, რომლების მიზანია სულით და გულით ემსახურონ საქმეს და ძველათ არსებული „მოხელეთა სულით“ გაჟღენთილი დაწესებულებანი ხალხისთვის სასარგებლო გახადონ. გარდა ამისა ჩვენ განვიზრახეთ ყველა საბაჟოების შემოსავალი პრესაში გამოვაქვეყნოთ ხოლმე. ჯერ ჯერობით იმას ვაქვეყნებთ, რაც უკვე ჩვენს ხელთაა.

თფ. მთავარ საბაჟოში შემოვიდა 1 სექტ.

| | | |
|---|---|---|
| 6 სექტემბრამდე . . | 120,452 მ. | 98 კ. |
| 7 „ | 33,317 „ | 89 „ |
| 9 „ | 42,112 „ | 30 „ |
| 10 „ | 31,096 „ | 44 „ |
| 12 „ | 25,603 „ | 91 „ |
| 13 „ | 13,255 „ | 53 „ |
| 14 „ | 23,572 „ | 72 „ |
| 16 „ | 32,761 „ | 14 „ |
| 17 „ | 130,807 „ | 40 „ |
| 18 „ | 80,865 „ | 90 „ |
| 19 „ | 15,554 „ | 9 „ |
| 20 „ | 108,519 „ | 21 „ |
| 23 „ | 71,953 „ | 16 „ |
| 24 „ | 100,700 „ | 37 „ |
| 25 „ | 87,645 „ | 72 „ |

მხოლოდ 11 ივლისიდან 16 სექტემბრამდე 1,013,367 მან. 42 კ.

ფოთის საბაჟოში 8 აგვისტოდან 23 აგვისტომდე შემოვიდა 53,862 მ. 91 კ.

ხ. სხივიშვილი.

## რკინის გზაზე

(რკ. გზის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საყურადღებოთ).

ბევრი იწერება გაზეთში, რომ მატარებლები სპეკულიანტების ხელშია ჩავარდნილიო, ეს მართლაც სიმართლეს მოკლებული არ არის მიუხედავად იმისა, რომ რკინის გზის გვარდიელები მათ წინააღმდეგ იბრძვიან და ჩვენმა მთავრობამაც სასტიკი კანონი შეიმუშავა. ისინი მაინც თავისას განაგრძობენ და ფიქრობენ როგორიმე გზით გაყვლიფონ დემოკრატია.

აქ უფრო საწყენია ის, რომ ამ ჩვენს გახრწნილს ელემენტებს შეუერთდენ ზოგიერთი ფოსტის მოსამსახურენიც, რომელნიც დასდევენ მატარებლებს. მე მქონდა დავალებული რკინის გზის სახალხო გვარდიის შტაბიდან 23-ს ენკენისთვეს შევხვედროდი ფოთიდან მომავალს მატარებელს გასაჩხრეკათ; რადგანაც ვიცოდი ზოგიერთი ფოსტის მოსამსახურეების გავარჯიშება სპეკულიანტობაში. სადგურ უფლისციხეში შევხვდი მატარებელს და შევედი რამდენიმე ამხანაგით ფოსტის ვაგონში № 279, რომელშიაც იყო დანიშნული უფროსათ ბ ივანიძე. აღმოჩნდა ვაგონში ათი ფუთი შაქარი და ორი დიდი კალათი შალი—სამ ფუთამდე. შაქარი ეკუთვნოდა ფოსტის წერილების დამტარებელს ბ. ნადირაშვილს, რომელიც მისდევდა ვაგონში პასაჟირათ. დანარჩენი შაქარი და შალი ეკუთვნოდა მიხეილ კალაძეს, რომელიც გაგვეცნო ბ. ივანიძემ სამტრედიის ფოსტის მოხელეთ კოტე კუპარაძეთ ჰქონდა კიდეც შესაფერი მოწმობაც. შტაბში ჩვენების ჩამორთმევის დროს კალაძემ განაცხადა, რომ ეს მოწმობა გამოვართვი ჩემს ბიძაშვილ კუპარაძეს, და ფოსტის უფროს ბ. ივანიძეს კი გაურიგდი 200 მანეთათო. ამიტომ საჭიროა დროზე მიექცეს შესაფერი ყურადღება ვისაც ჯერ არს და უფრო კარგი იქნებოდა ბ. ფიცხელაურმა გააუქმოს თავისი დეპოში № 133, რომელშიაც ეკრძალება სახალხო გვარდიელებს ფოსტის ვაგონის გაჩხრეკა.

საჭიროა იმ ფოსტის მოსამსახურეებმა რომელნიც ადამიანური რწმენით განაგრძობენ სამსახურს, გამოჰყონ რამდენიმე კაცი თავიანთ მოსამსახურე სპეკულიანტებთან საბრძოლველად.

ხ. მცხეთელი.

## საქართველოს ნავთსადგურების ორგანიზაციისათვის

(წერილი ფოთიდან).

ივლისის შუა რიცხვებში ქ. ფოთში დაარსდა პროფესიონალური კავშირი მუშებისა, სადაც შედიან, სხვათა შორის, მტვირთავი მუშებიც. უკანასკნელებმა გამოიმუშავეს თავისთვის სამუშაო ხელფასი, რომელიც მიღებულ და დამტკიცებულ იქნა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მიერ. ამ ხელფასით სწარმოებდა მუშაობა ნავთსადგურში მთელი უკანასკნელი თვე, და არავინ ამ სამართლიან ხელფასის წინააღმდეგ არ ილაშქრებდა.

მაგრამ ნავთსადგურების უფროსმა ბ. ჯავახიშვილმა კავშირთან მოულაპარაკებლათ გადასწყვიტა ფასის დაკლება დ გერმანელ კომენდანტის ჩარევაც კი მოიწადინა. საბუქსირო გემ „ტავრიდზე“ უნდა დაეტვირთათ მუშებს ქვა-ნახშირი, და ბ-ნმა ჯავახიშვილმა მისწერა თავის თანაშემწეს შემდეგი:

„თუ ვინიცობაა მუშები არ დასთანხმდებიან ბუნკერები დატვირთონ ან და გადმოტვირთონ ბუნკერებიდან ქვა-ნახშირი, ან, საზოგადოთ, ნავთსადგურის სხვა საქონელით, არა უმეტეს 30 კაპეიკისა ფუთზე, მაშინ მათ არ მისცეთ ეს სამუშაო და მიმართეთ დახმარებისათვის გერმანიის კომენდანტს“.

მხოლოდ მუშების თავდაჭერამ, რომელთაც შეუგნიათ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, შეუძლებელი გახადა ექსცესების მოხდენა. ზემო-მოყვანილი საქციელი ბ. ჯავახიშვილისა დასაშვები არ არის. აღნიშნული დოკუმენტი უკვე გაგზავნილია სამინისტროში, და ფოთის დემოკრატია მოუთმენლათ მოელის მთავრობისაგან შესაფერ მსჯავრს.

გარდა ამისა აღსანიშნავია ის, რომ ბ. ჯავახიშვილი ვერ ხედავს, თუ რა ხდება მის გარშემო.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ბ. ჯავახიშვილს მექრთამეობა დავაბრალოთ, მაგრამ მის კანცელარიებში მოკალათებულან ზოგი ისეთი პირები, რომელნიც კარგი რეპუტაციის მქონენი არასოდეს არ ყოფილან.

საქართველოს ნავთსადგურების მოწყობის კეთილათ დასაგვირგვინებლათ, ჩვენ ვფიქრობთ, საკმარისი არ არის, რომ ჯავახიშვილის ადგილს მეორე პიროვნება დაიკავებს,—საჭიროა მოსამსახურეთა მთელი შტატი გაიწმინდოს ამ უვარგის ელემენტებისაგან...

საჭიროა ნავთსადგურის და ქალაქის დაწესებულებათა ზოგიერთ მოსამსახურეთა დაკითხვა. მაშინ ბევრი რამ უნდა გამოჩნდეს დღის სინათლეზე...

ნავთსადგურების ორგანიზაციის დროს საჭიროა ნავთსადგურის უფროსისა და სადამოჟნო დაწესებულებების გადამიჯვნა; ყოვლად დაუშვებელია სადამოჟნო საქმეებში ნავთსადგურის უფროსის ჩარევა.

დაგვიანება არ შეიძლება!

ნავთსადგურებს, მათი შესაფერი ორგანიზაციის შემდეგ, შეუძლიანთ გახდენ სახელმწიფო ხაზინისათვის შემოსავლის უეუკეთესო წყაროთ.

Homo asper.

## თფ. სახალხო უნივერსიტეტის გარშემო

როგორც მკითხველებმა იციან, მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომ. კულტურულ-განმანათლებელ განყოფ. არსებულ ცენტრალური სახალხო უნივერსიტეტი უკვე გადავიდა ქალაქის თვითმმართველობის ხელში. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაც შეუდგა თავის მოქმედებას. ის შეეცდება შეძლებისდაგვარათ სისტემატიური ლექციების, საღამოების და სხვადასხვა გონივრულ გასართობების გამართვას, მაგრამ ამავე დროს ის არ უნდა იყოს მოკლებული ფართო საზოგადოების თანაგრძნობას, ურომლისოთაც შეუძლებელია განვითარდეს ისეთი დაწესებულება, როგორიცაა სახალხო უნივერსიტეტია.

უნივერსიტეტის გამგეობა უძლურია აწარმოოს ფართო მოღვაწეობა, თუ მუშა ხალხი მას გვერდში არ უდგას და არ ეხმარება. ეს კარგათ უნდა შეიგნოს განსაკუთრებით მუშებმა. მხოლოდ მათი მონაწილეობით და დახმარებით შეუძლია სახალხო უნივერსიტეტს გახდეს ცოდნის ლამპარი. რაც მეტი ხალხი მიიღებს მასში მონაწილეობას, მით უფრო დიდი იქნება მისი განმანათლებელი მნიშვნელობა. რაც უფრო აქტიურათ ჩაერევა მასსა მის მოღვაწეობაში, მით მეტი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება მას. ჩვენ უნდა მივბაძოთ შეერთებულ შტატებს. იქ მუშა ხალხის მისწრაფება უმაღლესი განათლებისადმი შეერთებული შტატების ყველა მხარეს ემჩნევა, მაგალითად, ყველასათვის მისაწდომი უნივერსიტეტები და სხვადასხვა უმაღლესი კურსები მთელს იმ მხარეზე ასობით არის მოფენილი, რომელიც შექმნილი და გაძლიერებულია თვით მუშათა კლასის მიერ. ეს კარგათ უნდა გაითვალისწინონ სახალხო უნივერსიტეტის გულშემატკივრებმა და მთელი თავისი ენერგიით შეეცადონ გადალახონ ის დაბრკოლება, რომელიც ამდენხანს წინ ეღობებოდა უნივერსიტეტის მოქმედებას და მომავალში მაინც ხელი შეუწყონ მის მუშაობის გამოცოცხლებას.

უნივერსიტეტის მოქმედებას ხელს უშლის უსახსრობა. უნივერსიტეტის გამგეობასთან დაარსებულია საფინანსო კომისია, რომელიც უნივერსიტეტის ნივთიერ ღონისძიებათა გაძლიერებაზე ზრუნავს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სახალხო უნივერსიტეტის არსებობას ძლიერ განამტკიცებდა სხვა კულტურულ საზოგადოებათა, მაგ. კოოპერატივების, საკრედიტო ამხანაგობებისა და სხვა ასეთ დაწესებულებათა დახმარება. ამ მხრივ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა პირველი მაგალითი უკვე გვიჩვენა. და 5,000 მანეთი სახალხო უნივერსიტეტს ამდროულათ შესწირა. იმედია სხვა დაწესებულებებ ც იქონიებენ ამას სახეში და თავიანთ წვლილს გამოიღებენ უნივერსიტეტის გასაძლიერებლად.

თედ. ხუხუნაიშვილი.

## მთავრობა და სახელმწიფო დაწესებულებანი

სახელმწიფო დაწესებულებანი არიან ის აპარატები, რომელთა მეოხებით მთავრობას გაჰყავს ცხოვრებაში ესა თუ ის კანონი, ესა თუ ის გამომუშავებული გეგმა. სახელმწიფო დაწესებულებანი არიან დამხმარე და აღმასრულებელი ორგანონი მთავრობის ხელში. ამ დებულებით განისაზღვრება მათი ფუნქციებიც. ერთი მხრით ეს ორგანოები აძლევენ საქმეს ნორმალურ მსვლელობას განსაკუთრებულ დარგში, მეორე მხრივ იმუშავებენ ცხოვრების შესაფერ კანონ-პროექტებს და უდგენენ მთავრობას გადასაწყვეტად. მოწონებული და დადასტურებული სათანადო სამინისტროსაგან კანონ-პროექტი გადადის მთავრობის ხელში და ამ უკანასკნელის სანქციის შემდეგ წარედგინება ეროვნულ საბჭოს,—როგორც კანონმდებელ ორგანოს. თუ საბჭომაც დაადასტურა, მოიწონა, იგი კანონათ იქცევა და უბრუნდება მთავრობას ცხოვრებაში გასატარებლად. ამ უკანასკნელ ფუნქციისთვის არსებობენ სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელთა მოვალეობაა საჩქაროდ უკლებლივ და არსებითად ხორცი შეასხან და ცხოვრებაში გაატარონ ესა თუ ის მისგანვე გამომუშავებული კანონ-პროექტი. ეს განვლილი ეტაპები არის იმის გარანტია, რომ კანონ პროექტმა განიცადა ყოველ მხრივ განსჯა, გაკვლევა, გატარდა კრიტიკის ქარ ცეცხლში და მიიღო დროის და ცხოვრების შესაფერი გარკვეული სახე.

ამ რიგად როლი სახელმწიფო დაწესებულებისა, რომელიც პირდაპირ და დამოუკიდებლად ექვემდებარება ამა თუ იმ სამინისტროს, განისაზღვრება სამგვარ ფუქციით: 1) გამომუშავება კანონ-პროექტ-სა შესაფერ დარგში სათანადო სამინისტროსთვის წარსადგენად, 2) დაკანონებულ პროექტების ცხოვრებაში გატარება, 3) ორგანიზაციულად მოწყობა და ნორმალურ ცხოვრების შესაფერ კალაპოტში ჩაყენება მთელი დაწესებულების აპარატისა, რომ მინიმუმ ხარჯებთან—განავითაროს მაქსიმუმი ენერგია საღმაშენებლო პროცესში.

ყველა ამ ფუნქციების ასრულებას სჭირია ერთგვარი ალღო და ინიციატივა—უმთავრეს ორგანოების ხელმძღვანელებისა, რომ როგორც არსებითად, აგრეთვე ყველა პატარა ნაბიჯიც კი ამა თუ იმ დაწესებულებისა ხელს უწყობდეს არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ წესრიგის განმტკიცებას და კულტურულ შემოქმედებას.

ცხადია, თუ სახელმწიფო დაწესებულება არ ეგუება არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ წეს-რიგს, იგი ვერ გასწევს აღმასრულებელ ორგანოს ფუნქციებს, მით უმეტეს ვერც აწარმოებს საღმაშენებლო პროცესს. ამ შემთხვევაში, ყველა მთავრობის განკარგულება, მისი გეგმა დარჩება ჰაერში გამოკიდებული და თვით დაწესებულებაში კი განვითარდება უმოქმედობა, ანარქია და ბოროტმოქმედება. და რომ ეს არ მოხდეს, მთავრობის და ყველა ცალკე სამინისტროს მოვალეობაა დაუახლოვდეს დაქვემდებარებულ დაწესებულებებს და აამუშაოს იგინი თავის პოლიტიკას, მისწრაფების და მსოფლმხედველობის თვალსაზრისის [illegible] შეუხამებელი [illegible] გააუქმოს, [illegible] ნი, მაგრამ [illegible] სახელმწიფოსთვის, განაახლოს, სული ჩაბეროს და სათანადოთ აამუშაოს. ჩვენ ამას იმიტომ ვამბობთ, რომ დღეს ყველა ჯვარედინ გზაზე ბევრს სახელმწიფო დაწესებულებებზე არა სასურველი ხმები იდგავს ფესვებს საზოგადოებაში და ეს გარემოება კი ხელს უშლის ერთი მხრით არსებულ წყობილების განმტკიცებას და მაშასადამე უკარგავს ნდობას არსებულ მთავრობას, მეორეს მხრით კი თვით დაწესებულებების გარშემო იქმნება ატმოსფერა და თანდათან უქრება რწმენა და იმედი ახლო მომავალში ცხოვრების მოწესრიგებისა.

ჩვენ ვიცით რამდენიმე დაწესებულება, რომელთა კონსტრუქციასთან ჯერ მთავრობა არც კი გაცნობილი, ნაკლებად იცნობს მის პერსონალურ შემადგენლობას და რა ხდება მის შინაურ ცხოვრებაში, რა გზას ადგია—არის ჯერ ჯერობით terra incognito. მწამს, რომ ჩვენ მინისტრებს ბევრი, აუარებელი საქმე აქვთ, მწამს, რომ დღეში 24 საათს მუშაობენ და მთელი არსებით გატაცებულნი არიან, ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის შენობის მოწყობა-მოგვარებით, მაგრამ თვით ამ ნახსენებ პროცესისთვის არის სწორედ საჭირო ახლო გაცნობა ყველა დაქვემდებარებულ აღმასრულებელ ორგანოებთან, რომ შრომა და ჯაფა, განხორციელება კანონისა არ დარჩეს ქაღალდზე, პრაქტიკული იერი მიიღოს.

საჭიროა, პერიოდულად სათანადო სამინისტრომ მიიწვიოს ხოლმე დაწესებულებათა გამგეობა და მათთან ერთად გამართოს ბჭობა მარტო დღიურ კითხვებზე კი არა, არამედ მომავალ პერსპექტივებზეც. ამით ყველა დაწესებულებას მიეცემა ხელში ერთგვარი კომპასი ორგანიზაციულ მუშაობაში, ამის გარდა მოხდება მჭიდრო კონტაქტი მთავრობასა და დაწესებულებათა შორის, რაც, რასაკვირველია, საქმის ვითარებას თუ არ შეჰპატებს, არაფერს ავნებს.

ვ. ლაშხაური.

## კახეთის რკინის გზაზე

კახეთის რკინის გზის სამმართველოსა და სოფ. შილაურის მცხოვრებთა შორის დიდი ხანია დავა არსებობს წყალის შესახებ. სოფ. შილაური სამი ვერსით არის დაშორებული სადგურ თელავიდან. ეს სოფელი სარგებლობდა იმ წყალით, რომელიც მომდინარეობს ეგრედ წოდებულ ცივი ხევიდან.

კახეთის რკ. გზამ ამ ხევიდან გამოიყვანა წყალსადენი სადგურ თელავამდე, მაგრამ რომ სოფელი უწყლოთ არ დარჩენილიყო, რამოდენიმე ადგილას გაიყვანა წყალსადენი სოფელშიაც. მაგრამ სოფლელები მაინც არ დაკმაყოფილდენ ამით და წყალი გზისთვის არ გამოუშვეს. ამიტომ დიდ გაჭირვებას განიცდიდენ რკ. გზის მუშა მოსამსახურენი და აგრეთვე მგზავრებიც. 30 სექტემბერს თელავში ჩავიდა ჯავშნიანი მატარებლით ვ. გოგუაძე, რომელმაც, სხვათა შორის, ამ საქმის მოწესრიგებაც იკისრა. მოახდინა შილაურელების კრება, აუხსნა მათ საქმის მდგომარეობა და დაარწმუნა ისინი მათი მოქმედების უკანონობაში.

ამის შემდეგ შილაურელები დათანხმდენ წყლის გამოშვებაზე.

ამ ნაირად, ამ დაუსრულებელ დავას ბოლო მოეღო და ეხლა სად. თელავის მუშა მოსამსახურეთ ეძლევათ საუცხოვო წყალი.

ვლ. ბ—ძე.

## იძულებითი პასუხი

(„სამტრედიელ რაინდის“ ავტორს ბ. რ. ბო—ლის)

გაზეთ „სახალხო საქმის“ 331 ნომერში ახალ-სენაკიდან მოთავსებული იყო წერილი ვინმე რ. ბო—ლისა, რომელიც როგორც ეტყობა ძლიერ აუშფოთებია იმ გარემოებას, რომ სამტრედიის სახალხო გვარდიის შტაბს კანონიერათ არ უცვნია პარტიული ორგანიზაციის მიერ იარაღის ტარების მოწმობის მიცემა ვინმე ვ. ჩიქოვანისთვის და ამ უკანასკნელისთვის იარაღი ჩამოურთმევია. ალბათ ხსენებული ფაქტით გაჯავრებული ბ. რ. ბო—ლი შედგომია ჩემს წინააღმდეგ სხვადასხვა ბრალდების გამოგონებას. იგი სწერს ვითომც მე იარაღის ჩამორთმევის დროს ჩიქოვანს უზრდელათ მოვეპყარი, მეგინებინოს სოც. ფედ. პარტია, მოტყუილებით შტაბში მიმეყვანოს ჩიქოვანი და სხვა. სინამდვილე კი, რასაც ბევრი მოწმეები დაამტკიცებენ შემდეგში იყო: ბ. რ. ბო—ლის სანაქებო პარტიული ამხანაგი ვ. ჩიქოვანი, გამგზავრებულა თფილისში, ვითომც და ფრიად საჭირო საქმეებზე, ღვინით გალეშილი ბოთლით ხელში ამოძვრა იმ სამკუტნო დუქნიდან, საცა ის იყო, იმ დროს გაქცეულმა ტუსაღმა შეაფარა თავი. ჩემს შეკითხვაზე, აქვს თუ არა მას იარაღის ტარების მოწმობა, ბ-ნმა ჩიქო-

ვანმა გაუგებრათ მიპასუხა და ლამობდა განეგრძო ექსკურსია სამიკიტნოებისაკენ, რის შემდეგ მე ის შევაჩერე და ხელმეორეთ მოწმობა და ვინაობა გამოვკითხე. მან მიჩვენა თავისი პარტიული ორგანიზაციის მიერ მიცემული იარაღის ტარების მოწმობა და მიპასუხა, რომ ის არის ი. გედევანიშვილის რაზმის წევრი, მიდის რაზმელებითურთ სამხედრო საქმეებზე თფილისში. ბ-ნ ჩიქოვანს თუმცა ქონდა ბ-ნ ი. გედევანიშვილის მიერ მიცემული პირადობის მოწმობა, მაგრამ ვინაიდან ის ძველი იყო, მე იძულებული გავხდი წამეყვანა ბ-ნი ჩიქოვანი ვაგონში რაზმელებთან და დამემტკიცებია სინამდვილეში მისი სიტყვები, მაგრამ სადგურში შესვლისას ბ-ნი ჩიქოვანი მიიმალა, ხოლო მის მოძებნის შემდეგ გამოირკვა რა, რომ მას არავითარი რაზმები არ ახლდა, მე მის პიროვნებაში ეჭვი დამებადა და მივიყვანე შტაბის ბინაზე, იარაღი ჩამოვართვი და თან განუცხადე მოეტანა მთავრობის პირდაპირი წარმომადგენელის მოწმობა, რის შემდეგ მიიღებდა უკანვე იარაღს. მე არ ვიცი როგორი პარტიის წევრია ს.-ფ. ორგანიზაციაში ხსენებული ჩიქოვანი, ხოლო ეს კი ფაქტია რომ ის არავითარი მებრძოლი და რაზმის წევრი არ არის, არამედ წარმომადგენილია ფეხზე მსხვილ მოვაჭრე-სპეკულიანტთა და მოხდენილი მატყუარაცაა. რომ ბ-ნი რ. ბო—ლს სცოდნოდა სად მიდიოდა და სად არის დღეს საჩარჩოთ მის მფარველობის ქვეშ მყოფი მისი „პარტიული“ ამხანაგი, მგონია სხვანაირათ მოიქცეოდა. დასასრულ ვურჩევ ვტორს, რომ პირიქით მან თითონ არ დაიმსახუროს ის სახელები, რაც მან იკადრა, დაუკვირდეს რას სწერს და მატყუარა წევრებისაგან მიწოდებულ ცნობებს ცოტა ფრთხილად მოექცეს.

სამტრედიის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე **ს. ნინუა.**

# ს.-დემ. პარტიში

**ლაილაშის** სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას შემოსწირეს თფილისში დროებით მყოფმა ამხანაგებმა სულ 225 მ. რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუძღვნი ორგანიზაციის სახელი. ამ ფულით ორგანიზაციას უკვე გავუწერეთ პარტიული გაზეთი, დანარჩენი ფული მოხმარდება საჭიროებისამებრ. ხელმძღვანელი კოლექტივი ენერგიულად მოქმედებს.

კოლექტივის მონდ. **კ. ქარხელაძე.**

---

**სამტრედია.** 26 სექტემბერს შესდგა ქ. სამტრედიის (ბაზარი) ძირითადი ორგანიზაციის საგანგებოთ მოწვეული კრება. პირველ საკითხათ იდგა ბიუროს რეორგანიზაცია და ახალი წარმომადგენლების არჩევა კოლექტივში. ამ კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. ბ. ის აცნობს კრებას რაიონულ კომიტეტის მიერ დადგენილ არჩევნების წესს. საერთოდ მთელს რაიონში უნდა მოხდეს არჩევნები შემდეგი წესით: ყველა იაჩეიკა ჯერ ახდენს ბიუროს რეორგანიზაციას. შემდეგ ირჩევს კოლექტივში წარმომადგენელს. იაჩეიკა მიუხედავათ რიცხვით სიმცირისა ირჩევს ერთ წარმომ. შემდეგ იკრიბება ახალი კოლექტივი, რომელიც იწვევს საერთო საკოლექტივო პარტ. წევრთა კრებას, ეს კრება კი ირჩევს რაიონ. კომიტეტში წარმ. ყველა საკოლექტივო მიუხედავათ რიცხვით სიმცირისა კომიტეტში გზავნის ერთ წარმომადგენელს, დიდ რიცხოვანი საკოლექტივო კი—ყოველ 100 წევრზე ერთ წარმომად., 150-ზე ზევით ორს და ასე ბოლომდის.

კომიტეტის წევრათ შეიძლება არჩეულ იქნას არა კოლექტივის წევრიც, რომელსაც შემდეგ ევალება დაესწროს კოლექტივის სხდომებსაც სათათბირო ხმით.

ქ. სამტრედიის საკოლექტივოში ირიცხება 18 ძირითადი ორგანიზაცია (იაჩეიკა) (საერთო რიცხვი ამ საკოლექტივოში არის 1080 წევრი, მთელს რაიონში კი 2130 წ.)

ზემო აღნიშნულ გეგმის მიხედვით ქ. სამტრედიის (ბაზარი) იაჩეიკამ უნდა აირჩიოს კოლექტივში ერთის ნაცვლად ორი წარმომადგენელი. კრებამ მოხსენების შემდეგ მოახდინა არჩევნები. ბიუროში არჩეულ იქნა: ამხ. ირაკლი რუსია, საშა კანდელაკი, ვასო აბდალაძე, მოსე ბერძენიშვილი და ლევ. ბუაძე.

კოლექტივში წარმომ. არჩეულ იქნა: გიორგი დუნდუა და ლევ. ბუაძე. არჩევნების დასრულების შემდეგ პარტიულ კლუბის სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენის შესახებ მოხსენებას აკეთებს წარმ. მომწყობ კომისიის წევრი ვალიკო ხარებავა, წარმოდგენას დაუტოვებია ყოველ ხარჯს გარდა 817 მ. 70 კ.

ლიტერატურულ გასამართლების შესახებ მოხსენებას აკეთებს ლ. ბ. კრებამ სასურველად სცნო მოაწყოს ლიტერატ. გასამართლება, რომლის შემოსავალიც გადაიდება პარტიულ კლუბის სასარგებლოთ, მომწყობ კომისიაში აირჩია: ლ. ბუაძე, კ. კვერნაძე და მ. ბერძენიშვილი.

შემდეგ სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ამხ. ს. ნინუა აცხადებს, რომ ამ იაჩეიკიდან გვარდიაში ჯერჯერობით ძალიან ცოტა არიან ჩაწერილი. ამ კითხვის შესახებ სხდომამ დაადგინა: გადათვალიერებულ იქნას ის სია, რომელიც შეადგინა ამ კითხვისთვის არჩეულმა კომისიამ, მოწვეულ იქნას ყველა აწერილი და სურვილის თანახმად იქიდან გადასწერონ შტაბში. სხვა კითხვები კრებამ გადასდო შემდეგი კრებისათვის.

**ლევანიძე.**

# მუშათა შორის

**თფილისი.** 22 ენკენისთვეს შესდგა თფილისის მე-4 რაიონის მებაღეების წარმომადგენელთა კრება. ყველა რაიონიდან იყვნენ არჩეულები ორი მუშა და ორიც მებაღე. წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) უმუშევრები და მათი დახმარება, 2) მამულის პატრონები. პირველზე დაადგინეს, რომ გამოიძებნოს ისეთი ბაღები, საცა შეიძლება კაცის მიმატება. დეპუტატების მოხსენების შემდეგ გამოირკვა, რომ შეიძლება 80 უმუშევრებმა იშოვნონ საქმე მხოლოდ დაადგინეს, რომ შემდეგ მოიწვიონ ის მებაღეები, ვისაც უნდა ჩამოართვან ზედმეტი ბაღი ან მიუმატონ მუშა მებაღე. მეორე კრება იყო მოწვეული 1 ოქტომბერს. დაესწრო ორასამდინ კაცი, მოიჯარადრეთა მუშა მებაღე. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ბასილაშვილი. მან მიმართა მოკლე სიტყვით თუ რა უბედურობა შეიძლება მოჰყვეს უმუშევრობას. კამათის შემდეგ ერთხმათ იქნა მიღებული, რომ ვისაც ორი ბაღი აქვს ერთი ჩამოერთვას და საცა შეიძლება ერთი ან ორი მუშა მებაღე მიეცეს. ამ დროს გამოცხადდა ვერის დელეგატები და განაცხადეს, რომ ვერაზე კრება გვქონდა და იქაც დაადგინეს, რომ თქვენ შემოგიერთდნენო. ახლო მომავალში 100 სული უმუშევრები იშოვნიან ადგილსო. მეორე საკითხზე აკეთებენ მოხსენებას ყველა რაიონებიდან. გამოირკვა, რომ ზოგიერთი მებაღეები დაძვრებიან კავშირის დაუკითხავად „ხაზეინებთან“ და იჯარით იღებენ ბაღებსა, ან ყიდულობენ, ანგარიშს არ უწევენ იმ მებაღეებს, რომელთაც რამოდენიმე წელიწადი ის ბაღი ოფლით აქვს მორწყული, დღეს კი ულუკმა პუროთა სტოვებენ. გამოირკვა ის, რომ მამულის პატრონები, ვისაც ბაღები აშენებული აქვთ საეკლესიო მიწაზე და ან სახელმწიფოზე, ჩქარიან გაყიდვას, გარდა ამისა მამულის პატრონებმა იციან, რომ ადრე თუ გვიან მიწის მიმღები კომისია თფილისისთვისაც მოიცლის, ისინი ცდილობენ ფულათ აქციონ მამულები. კარგი იქნება ამას მიექცეოდეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

**გ. ბახილაშვილი.**

---

**ბორჯომი.** ბორჯომში ქარხნის მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს თავიანთ ადმინისტრაციას—თვეში 200 მანეთის მომატება, ამისათვის მოხდა კრება, სადაც დაესწრო მუშების წარმომადგენლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვათა შორის ამხ. კ. ნინიძეც. ადმინისტრაციის წარმომადგენელი უმტკიცებდა მუშებს, რომ წარმოება ამდენის მომატებას ვერ შესძლებს და როგორც სახელმწიფო დაწესებულება, ამას თქვენ მუშებმა ანგარიში უნდა გაუწიოთო; უმატებდენ თვეში 100 მანეთს. მუშების მხრივ ილაპარაკა ქარხნის კანტორის მოსამსახურემ ტილჩევმა, რომელიც ვითომდა ციფრებით ამტკიცებდა, რომ შეიძლებოდა 200 მანეთის მომატება. ამხ. მ. ახალაძე უთითებდა იმ ანგარიშის წიგნზე, რომელიც მას არ წაეკითხა.

ამხ. კ. ნინიძემ მიმართა მუშებს და გააფრთხილა ისინი, რომ მის პიროვნებაში არ მოსტყუვდენ. გამართლდა ამხანაგის სიტყვა, ტილჩევმა გაიტაცა 10,000 მანეთი, რომელიც მუშებმაც ნდობით აღჭურვეს და მისცეს ტილჩევს პურის სასყიდლათ. აი სწორეთ ამისათვის არის საჭირო მუშები ყურადღებით მოეპყრან ყველას, მარტო სიტყვების რახა-რუხი არ შველის საქმეს, მუშები რომ არ მოსტყუვდენ, ამისათვის მუშებს ჰყავთ საკუთარი პარტია და მისი აღმასრულებელი ორგანოები. აი მუშები ვის დროშის ქვეშ უნდა იდგენ.

**ვ. დინჯაძე.**

---

**მზარეულების და ხელზე მოსამსახურეების** პროფესიონალური კავშირების გამგეობა უცხადებს ბოიკოტს მეპატრონე სასტუმრო „ბომონდის“ ტიგრან გრიგორის ძე ბარსეგოვს მომუშავეებისადმი საზიზღარი მოქმედობისთვის, რომელიც სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი ზემოხსენებულ კავშირების წევრებისაგან, 1918 წლის 3 ოქტომბრიდან.

**გამგეობა.**

# პროვინცია

**ძ. ჭიათურა.** თვე ნახევრის წ. ნათ ჭიათურაში ვერაგულათ მოჰკლეს ადგილობრივი მცხოვრები გიორგი ელეფთერის ძე ბარათაშვილი, რომელიც გასულ წელს ჩამოვიდა ოჯახობით შორეულ ციმბირიდან და ეწეოდა პატიოსან შრომას. „გაბალშევიკებულ“ ავაზაკს ჯერ გაუხდევინებია ტანზე, წაუღია ფულები, ხანჯალი, ქამარი, ფეხსაცმელები. როდესაც ბარათაშვილი შეხვეწნია: ნუ მიშვრები ამას, გამიშვიო, და მკვლელის სახელი უხსენებია, ავაზაკს იქვე ექვსი ტყვია დაუხლია. როგორც გადმოგვცემენ მკვლელი თავისუფლათ დათარეშობს ჭიათურაში და ახლო მახლო სოფლებში, ახდილათ ჰყიდის მოკლულის ხანჯალს, საათს, ქამარს და სხვ. და ადგილობრივი ადმინისტრაცია არავითარ ზომას არ ღებულობს. ამის შესახებ არა ერთხელ მიმართა თხოვნით კომისარს მოკლულის მეუღლემ და მასწავლებელმა ქალიშვილმა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. საჭიროა, რომ ერთხელ და სამუდამოთ ამას ყურადღება მიაქცევდეს ჭიათურის რაიონის ადმინისტრაცია.

**დ. ქ—ძე.**

---

**თერგვისი.** ამ მეტად ჩამორჩენილ სოფელში 20 ენკენისთვეს, ღამით ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ გოგლიძეებს და გაძარცვეს. წაიღეს საქონელი, ბევრი დასწვეს და ფულად გაიტაცეს 6,000 მან.

---

**ს. ლეცინხვაია** (სენაკის მაზრა). 27 აგვისტოს ლეცინხვაიას სოფლის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნა ადგილობრივი სკოლის და სამკითხველოს სასარგებლოდ ორი კომედია.

წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა; ყოველივე მოქმედებაში ფარდის დახურვის შემდეგ ისმოდა მუსიკის ხმა. წარმოდგენის დასასრულში გაიმართა ორკესტრი სამუსიკო ინსტრუმენტების საშუალებით. დიდათ სასიამოვნო და სუპატიო ადგილი დაიჭირა აგრეთვე სიმღერამ მასწავლებელ აკ. გაბისონიას მეთაურობით. წარმოდგენა დასრულდა ღამის მეორე საათზე. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. შემოსავალი ხარჯის გარდა დარჩა 255 მ. 85 კ. მადლობის ღირსია ის ახალგაზრდობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო და არ დაიზარა თავიანთი შრომა და ენერგია. ფული გადაეცა ადგილობრივ სამკითხველოს გამგეობას, რომლებსაც წინანდელი ჰქონდათ 294 მან. 60 კ., ეხლა გამგეობას აქვს ძველი და ახალი 550 მ. 45 კ. და იმედია მისი საქმე კარგად მოეწყობა.

**არ. თოფურია.**

---

**ს. სუფსა** (გურია). ეს სოფელი კარგა დიდია და მისი სიდიდე სულ ათ თორმეტ წელში წარმოიშვა. რადგან სუფსის ახლო მდებარე მიწები სიმინდის კარგ მოსავალს იძლევა, ამიტომაც იყო, რომ გურიის სხვადასხვა სოფლებიდან დაიძრა ხალხი და ამ სოფ. მდებარე მიწებზე დასახლდნენ და შეუდგნენ უმეტეს ნაწილათ მიწის დამუშავებას. რა თქმა უნდა, სოფლის გაზრდამ გამოიწვია ხალხის სიმრავლე და უკანასკნელმა კი სხვადასხვა სასოფლო მოთხოვნილებები, როგორც კულტურული, ისე ეკონომიური, სხვათა შორის დიდათ აწუხებს ხალხს.

1917-ში სოფელმა დაადგინა არხის გაჭრა, მდ. სუფსის შტოს გადმოყვანა და სოფლის გაბედნიერება, მაგრამ ჯერ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს არ გაკეთებულა. გაკეთება კი აუცილებელია. ზოგიერთი ბატონების წყალობით, გაჩნდენ მავნე პირები და იწყეს ძრომა და მტკიცება: ჩვენ წყალი გზას გვიფუჭებს და თან ნოტიო დგებაო და არსებული წისქვილი უნდა გაუქმდესო. დაიყოლიეს სუფსის რაიონის კომისარი და წყალი არხს მოაშორეს. გაუქმება ასეთი საჭირო დარგისა არ არის დასაშვები და არც უნდა დასთანხმდეს შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა, იმედი გვაქვს, რომ სოფელი თვით დაადგენს განაჩენს და არა მკითხებს არ გარევს.

**დეპოელი.**

# წერილი რედ. მიმართ

ღია წერილი ეროვნულ საბჭოს წევრს პ. ქავთარაძეს.

გაზ. „ალიონი“-ს № 38-ში მოთავსებულია თქვენი წერილი ჩემი უკანასკნელი დანიშვნის შესახებ სასურსათო სამინისტროს რევიზორათ, სადაც ბევრი რამ უმართებულოა ნათქვამი.

სხვათა შორის ჩემს ყურადღებას იქცევს ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „ქუთაისში ალ. ივ. ჯაფარიძეზე ისეთივე მითქმა-მოთქმაა, როგორიც საერთოდ სასურსათო საქმის უწყების გარშემო. მე სრულიადაც არ ვამბობ, რომ სამართლიანია და საფუძვლიანი ყველა ის, რასაც გაიგონებთ ყოველ ნაბიჯზე ალ. ივ. ჯაფარიძის შესახებ...

ამ უკანასკნელ ამონაწერიდან მკითხველს შეუძლია მხოლოდ ერთი დასკვნა გამოიტანოს, სახელდობრ ის, რომ თქვენ „ყველა ის“ არ გჯერათ, რასაც გაიგონებთ ჩემზე, მაგრამ ნაწილი იმისა, „რასაც გაიგონებთ“ ჩემზე „სამართლიანია და საფუძვლიანი“. მე მგონია ეროვნულ საბჭოს წევრს არ შეჰფერის ასეთი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი; თუ კი თქვენ გალაპარაკებთ სახელმწიფოს ინტერესები კეთილ ინებით და დაუყონებლივ გამოაქვეყნეთ გარკვეული ბრალდება, მაგრამ ნება მიბოძეთ იქვე შევიტანო თქვენს სახელმწიფოებრივ მოქმედებაში (ამ შემთხვევაში). მე მგონია, როდესაც თქვენ კალამს ხელს ჰკიდებდით და ჩემს წინააღმდეგ წერილს თხზავდით, თქვენ გამოძრავებდათ ის წაწყმედილი ატმოსფერა, რომელიც პეტროგრადში ჩვენი სტუდენტობის დროს თქვენ მიერ ქართული სალამოს გამართვის გამო შეიქნა. მართალი უნდა მოგახსენოთ დაწვრილებით არ მახსოვს მაშინდელი ისტორია, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩემი გამოსვლებით თქვენს წინააღმდეგ თქვენი გულის წყრომა დავიმსახურე. ასეთი გამოსვლები ერთი არ ყოფილა. ხშირათ გვიხდებოდა ასეთი შეტაკება და თუ ამ ნიადაგზე თქვენ შეგიძლიათ, როგორც ეროვნულ საბჭოს წევრს, სრულიად უმართებულოთ ჩირქი მომცხოთ, მე როგორც მოქალაქეს უფლება მაქვს მოგთხოვოთ გახსნათ ფრჩხილებიდან თქვენი გაურკვეველი ზემო მოყვანილი წინადადება და საჯაროთ გამოაცხადოთ თუ რა აზრით იყო ეს წინადადება ნახმარი. მე ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ თქვენ, ეროვნულ საბჭოს წევრს, მეტი მოგეთხოვებათ, ვიდრე იმ უბრალო მოქალაქეს, რომელმაც რესპუბლიკის არსებობა ისე გაიგო, თითქოს ყოველგვარი ინსინუაციები ნებადართულია. მე არ მინდა თქვენ, საკანონმდებლო ორგანოს წევრი ამ უპასუხისმგებლო მოქალაქეს დაემგვანოთ.

პასუხს ველი ორი დღის განმავლობაში დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

**ალ. ივ. ჯაფარიძე.**

---

P. S. ამ წერილის გამოქვეყნება დამიგვიანდა ავადმყოფობის გამო. გარდა ამისა უცდიდი იმ დეპეშის გამოქვეყნებას ბ. პეტრე ქავთარაძის მიმართ, რომელიც გამოუგზავნე 18 სექტემბრის თარიღით „ალიონის“ და „ერთობის“ რედაქციებს და რომელიც რაღაც მიზეზის გამო დღესაც არ არის გამოქვეყნებული.

**ალ. ივ. ჯაფარიძე.**

# განცხადებანი

30 ენკენისთვეს თფ. სადგურზე **დაიკარგა** საფულე, რომელშიაც იყო ვერცხლის საათი, „პასპორტი“, 200 მან. ფული, ოთახის გასაღები, 32 მან. „ჩეკი“ „იმერეთის“ ღვინის საწყობისაგან მოცემული. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სასტუმრო „ნოე“ ნესტორ ანტონის ძე აბუსერიძეს. მომტანი მიიღებს საჩუქარს.

---

**რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**

წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე

**დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.**

ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვების და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. მიიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

---

**კბილის საექიმო კაბინეტები**

**თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

**ე ქ ი მ ი**

**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

---

**ექიმი**

**ა. ნ. შატილოვი**

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სიმონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამო 5—6 საათამდე. კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ფიფიცეროთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სხონიშვილისა. ტელ. № 5—77

---

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**

იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

---

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

(მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

**ექ. ქალი რ. ზ. შიშლო-სანაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით, დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

---

**ე ქ ი მ ი**

**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**

ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

---

**მედიცინის დოქტორი**

**ბერლინის უნივერსიტეტისა**

**გ. გ. მეგრაბიანცი**

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23; ტელეფონი 7—92.

---

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

---

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით [illegible] ავათმყოფთ ყოველ დღე [illegible] თი 5—7 საათამდე. [illegible] მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

**ქ. ხ ო ნ ი.**

**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.**

იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

---

**მიხეილის ქირურგ. სამკურნალო**

მუდმივ საწოლებით მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, ქანის ქვეშ შეზხაპუნება. 606 და 914 შეზხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

---

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

---

**სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**

**პეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეზხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

## კონსერვატორიის დარბაზი

(გრიბოედვის ქუჩა)

**შაბათს, 5 ოქტომბერს** —— გაიმართება —— **შაბათს, 5 ოქტომბერს**

**გალაკტიონ ტაბიძის**

## პოეზიის საღამო

**ბილეთები იყიდება წ. კ. გ. ხ. წიგნის მაღაზიაში.** (5—5)

---

**ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში**

საჭიროა **ინსტრუქტორები** მცოდნე კოოპერაციისა როგორც თეორეტიულად ისე პრაქტიკულად. პირობები შემდეგია: უმცროს ინსტრუქტორს ეძლევა ჯამაგირი 1350 მან. თვეში, უფროს—1500 მან. დღიური და გზის ფასი ცალკე. თხოვნებს იღებს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა. მიხეილის პრ. № 178. (3—2)

---

**ხაშურის ქალაქის გამგეობა**

იჯარით სცემს **ქალაქის აფთიაქს** მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ქალაქის გამგეობას. (2—2)

---

## ყველა უმუშევრათ დარჩენილ ქალებსა და კაცებს

**ქ. თ ფ ი ლ ი ს შ ი.**

უკანასკნელ თვეებში დაიხურა მთელი რიგი საწარმოვო, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისა და მრავალმა მუშამ დაკარგა ადგილი და სამუშაო ქირა. უმუშევართა ერთმა ნაწილმა დასტოვა ქალაქი, გავიდა რესპუბლიკის საზღვრებიდან, ან სოფელში გადასახლდა. ისინი კი, რომელნიც თფილისში დარჩნენ, სცდილობენ იშოვონ რაიმე სამუშაო, რომ თავი ირჩინონ, მაგრამ ამას ძნელად ახერხებენ, რადგან ხშირად არ იციან, სად არის მოთხოვნილება მათ სამუშავო ძალაზე. იყო შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ დაწესებულებას სჭიროდა განსაზღვრული რიცხვი მუშებისა, მაგრამ ასეთებს ვერ პოულობდენ, მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქში უმუშევარნი მრავლათ არიან.

შრომის სამინისტროს სურვილია შეძლებისდაგვარათ დაეხმაროს უმუშევართ, ერთი ადგილი მიუჩინოს ქალაქის ბირჟაში შრომის მოთხოვნისა და მიწოდების საქმეს და გამოიყენოს სამუშაო ძალა არსებულ პირობებში შესაძლო საზოგადო სამუშაოში. ამისთვის მან გადასწყვიტა მოახდინოს საერთო აღწერა ყველა უმუშევართა ქ. თფილისში, რომ გამორკვეულ იქნას მდგომარეობითი რიცხვი და რიცხვი შრომის დარგის მიხედვით. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ამა თუ იმ დახმარების გაწევა იმათთვის, თუ გვეცოდინება, რამდენი უმუშევარია და რამდენათ მწვავეა მათი მდგომარეობა. აღწერა მოხდება ასე.

აღწერას ახდენს ქალაქის შრომის ბირჟა. ქალაქი გაყოფილია ექვს რაიონათ. ქვემოთ ნაჩვენებ ადგილებში იქნებიან აღმწერლები, რომელნიც განსაკუთრებულ ფურცლებში ჩასწერენ ყველა გამოცხადებულ უმუშევრებს. ამის შემდეგ ცნობებს თავს მოუყრიან შრომის ბირჟაში.

უმუშევართა საერთო აღწერა სწარმოებს სამი დღის განმავლობაში—5, 6 და 7 ოქტომბერს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. ამ დღეების განმავლობაში ყოველი უმუშევარი ქალი და კაცი თავის საკუთარ ინტერესისთვის უნდა ჩაეწეროს ქალაქის შემდეგ ადგილებზე:

1. ნაძალადევი. ნაძალადევის თეატრი.
2. სახალხო უნივერსიტეტი—მიხეილის ქუჩა № 91,
3. ავლაბარი—კახეთის ქ. № 1—ბინა ს. დ. 3. ორგანიზაციის მესამე კოლექტივისა.
4. წყნეთის ქ. № 9, ვერის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი.
5. ხარფუხი. სოფიოს ქ. № 3, ორთაჭალის მუშათა კლუბის ბინა.
6. მაიდანი. კუთხე ციხის გადასახვევისა და ვორონცოვის ქუჩისა—სასტუმრო „მოსკოვსკაია“.
7. ქალაქის შრომის ბირჟა, მადატოვის ქ № 11, ალექ. ბაღის პირდაპირ.

უმუშევარნო იჩქარეთ ჩაეწეროთ.

**შრომის სამინისტრო.**